


ბებბებბებ



140/2
2003

2



დავან გუნსი



„ჩვი-ბი“

თბილისის 161-ე სკოლა, 11-ქანსი





տնայրոսի 167-յ կուրս. 1 խումբ. եղբայրներս մեծերի ձեռքով



մանկ Բեկարամյան



„menan 2001“



կատիկ
Բեկարամյան



մեծամ
Բեկարամյան



ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

2003 წ. № 2


ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიძვედრეთ მამულიშვილთა მესვეურთაგან დაარსებული პირველი ქართული საცემავილო ჟურნალის ნათესავად გამოდგინდა. მდგვიანებით მას სასულიერო მოღვაწეებსა და „პიონერები“ ერქვა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სასულიერო გამოცემის სახელით გამოდის.

ნომრის შინაარსი


„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ვაჭატი“	2
თქვენ იცით, გიჟებო! (სპორტი)	3
ნომრის სტუმარია თბილისის 186-ე საშუალო სკოლა	4
გიორგი შატაბერაშვილი – მრუდე ხის ჩრდილი (მონოგრაფია)	6
„ოლოზები“ (მოსწავლეთა შემოქმედება)	9, 25, 30
ლიბელი ლიბელის წილ... (შენზე უძრავი რომ ათენებს)	10
სტუდია, სახელად „რე-მი“	11
ლუგა მესხი (დასამარტოვებული სახელები)	12
მსოფლიო კიდით კიდევლე	14
თუ ზღვას ვერს მივუბღვით	15
საკონტროლო წერა თქვენზე “უჩინაჩინის ქული თავზე მსურს რომ მხუროს“.	16
სალომე ჯანელიძე – ნეტავ მართლმად ყლავავენ ეს მწერები ნემსებს (ბუნების კარი)	18
წუგზარ თორღია – ლექსები (კოეზიის ერთი გვერდი)	20
ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისთვის“	21
კითხვა-თქვენი, კასუნი-ჩვენი	23
იცი რას ნიშნავს შენი სახელი?	24
ბინდ ლიჯვარაძე, ბინდ არა	26
სიცილის გაკვეთილი	31
იწილო-გიწილო	32

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში



"ნაპარუნი" საინფორმაციო სააგენტო "ფაქსი"



ფინანსური სწავლება ახალი მეთოდით

საქართველოში საფრანგეთის სა-
ელჩოს ინიციატივითა და საქართვე-
ლოს განათლების სამინისტროს
მხარდაჭერით ჩვენი ქვეყნის სკო-
ლებში ფრანგული ენის სწავლე-
ბის ახალი მეთოდი დაინერგება.
იმ ათი სკოლის წარმომადგენლებს,
რომლებმაც უკვე გაიარეს აპრო-
ბაცია, საქართველოში საფრანგე-
თის ელჩმა ქ-მა მირეი მიუსომ და
განათლების მინისტრმა ა. კარტო-
ზიამ ახალი სახელმძღვანელოები,
აუდიო-კასეტები და მაგნიტოფო-
ნები გადასცეს საჩუქრად. მალე
ფრანგულის სწავლების ახალი მე-
თოდის ასათვისებლად საქართვე-
ლოს რვა ქალაქში ფრანგულის მა-
სწავლებლებისთვის მოსამზადებელი
სემინარები ჩატარდება. უახლოეს
მომავალში კი, ჩვენი ქვეყნის სკო-
ლებში ფრანგულ ენას საფრანგე-
თში შემუშავებული ახალი „Bien
joue-1“-ს მეთოდით შეისწავლიან.

თიკა ჯაგჯიჩის და ჩანსნიაკოვის ენები

სულ მალე ესტრადის პატარა
ქართველი ვარსკვლავი თიკა ჯა-
გჯიჩია და რუსული შოუ-ბიზნე-
სის ერთ-ერთი საუკეთესო წარმო-
მადგენელი ვლადიმერ პრესნიაკოვი
დუეტს ჩაწერენ. საგანგებოდ ამ დუ-
ეტისთვის შექმნილი სიმღერის მუ-
სიკისა და ტექსტის ავტორი თა-
ვად ვლ. პრესნიაკოვი გახლავთ. სი-
მღერა თიკას ასაკისა და შესაძლე-

ბლობების გათვალისწინებით იქმნე-
ბოდა. რუსმა მომღერალმა თავისი
პარტია უკვე ჩაწერა და ახლა რიგი
თიკაზეა, რომელიც ერთდროულად
უცნობთან ერთად კიდევ ერთ დუ-
ეტზე მუშაობს.

საბურთის მე-2 სკოლა 125 წლიანა

სამშურელებმა საზეიმოდ აღნი-
შნეს ქალაქის დავით კაკიაშვილის
სახელობის მე-2 სკოლის 125 წლი-
სთავი. საიუბილეო ზეიმი სკოლაში
მემორიალური კუთხის გახსნით და-
იწყო. აქ წარმოდგენილ დაფებზე
ჩამოთვლილები არიან სკოლაში
სხვადასხვა დროს მოღვაწე რესპუ-
ბლიკის დამსახურებული მასწავლე-
ბლები და სკოლის სახელოვანი კუ-
რსდამთავრებულები. ცალკე დაფა
იუწყება, რომ პირველი ზარი სკო-
ლაში XIX საუკუნის მეოთხე მე-
ოთხედში დაირეკა და რომ სკო-
ლის პირველი მასწავლებელი ცნო-
ბილი საზოგადო მოღვაწე ალექსან-
დრე ნათაძე ყოფილა. ზეიმმა რეი-
ნიგზის კლუბში გადაინაცვლა. მი-
საღმებებს, კონცერტს, მოგონებებს
ღირსების ორდენებითა და მედლე-
ბით დაჯილდოებული პედაგოგები-
სთვის ამ მაღალი ჯილდოების გა-
დაცემის ცერემონიალი მოჰყვა.

კონკრეტული შედეგები

დაჯამდა გასულ შემოდგომაზე
შეფასებისა და გამოცდების ერო-
ვნული ცენტრის მიერ 9-10 წლის
ბავშვებისათვის დაწერილი საუკე-
თესო პროზაული ნაწარმოებების გა-

მოსავლენად გამოცხადებული ლი-
ტერატურული კონკურსის შედე-
გები. კონკურსის მიზანი იყო ისეთი
ახალი ნაწარმოებების მოძიება, რო-
მლებიც IV კლასის სახელმძღვა-
ნელოებში წარმოდგენილი ტექსტე-
ბის ადეკვატური იქნებოდა. ჟიურიმ
საუკეთესოდ კონკურსზე წარმოდგე-
ნილი ცხრა ნაწარმოები ცნო: და-
ვით ჯავახიშვილის – „ქუჩაში მო-
სმენილი საუბარი“, „პატარა ბე-
დუნის ოცნება“, „თაგვების ფე-
ხბურთი“, ნუგზარ შატაიძის – „და-
ბადების დღე“, „თრთვილი“, ზაზა
აბზიანიძის – „წითელკუდა“, „კო-
სტა-ბრაუო“, ირაკლი სამსონაძის
– „მარიამის სიზმარი“, ნინო ბა-
ლანჩივაძის – „მეფის საფლავთან“. კონკურსის მონაწილე მოსწავლე-
თაგან კი უმაღლესი შეფასება და-
იმსახურა თბილისის 94-ე საშუ-
ალო სკოლის მოსწავლის სალომე
ჯანელიძის ზღაპარმა „როგორ გა-
უწნდა ჭია-მაიას წინსკვლები“. სა-
ლომეს გარდა კონკურსში მონაწი-
ლეობდნენ: მიხეილ აბულაძე (ბა-
ღდადის რ-ნი, სოფ. ობჩის მე-2
საშ. სკოლა), ანა კამლაძე (ქუთა-
ისის 38-ე საბაზო სკოლა), ვიკა
ჩუხუა და ლუის თირქია (ზუგდი-
დის რ-ნი, სოფ. ჭაქვიჩის საშ.
სკოლა), დავით ლაჭყვიანი (ქუთა-
ისის მე-10 სკოლა), ცოტნე კვიცი-
ნაძე (ზესტაფონის დამოუკიდებელი
სკოლა „ანაბასისი), თამარ წერე-
თელი, ანა ღლონტი, ნათია წილო-
სანი (ლანჩხუთის მე-4 საავტორო
სკოლა).

თქვენ იცით, ბიჭებო!



ამას წინათ თბილისში ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ჩამოსული ზუგდიდის ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „ოდიში 2001“-ის წევრები მატჩებს შორის შუალედში მწვრთნელებმა „ლოკომოტივის“ სტადიონზე წაიფიანეს დასათვალისწინებლად. „აუკ, ბიჭო, ერთხელ მაინც რომ გვათამაშა ასეთ სტადიონზე!“ – იმატრეს მსოფლიო სტანდარტების დონის სტადიონის დანახვამ პატარა ფეხბურთელებმა. ეჭვი არ არის, ყველა თუ არა, მომავალში ბევრი მათგანი აუცილებლად ითამაშებს და არა ერთხელ, ამ სტადიონზეც და სხვა ქვეყნების საფეხბურთო მინდვრებზეც. ამის საწინდარია ამ ბიჭების მონდობა, ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა ერთი მხრივ და მაღალკვალიფიციური მწვრთნელების სწორად აგებული მუშაობა მეორე მხრივ, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის ზრუნვა, რომლითაც გარემოცულია „ოდიში 2001“.

გაფიქვრდებით და საფეხბურთო კლუბის გახსნა ზუგდიდელს ამჟამად მოსკოვში მცხოვრებმა ქალბატონმა ბაბუცა ქარდავა-ძამაძემ შესთავაზა და დახმარებაც აღუთქვა საკუთარი სახელითაც და მოსკოვში მოღვაწე თავისი შვილებისა და შვილიშვილების სახელითაც (წარმოშობით ზუგდიდელი ქ-ნი ბაბუცას ოჯახი აფხაზეთიდან არის) ცხადია, იდეა მოიწონეს, ხოლო ქალბატონმა ბაბუცამ და მისმა ოჯახმა, კერძოდ, მისმა შვილიშვილმა ბატონმა ლამა კვალიფიციენტმა თავისი სიტყვა უყოყმანოდ შეასრულეს და სულ მალე 2001 წლის მარტში კლუბი „ოდიში 2001“ შეიქმნა. საფეხბურთო ტრადიციებით ცნობილ ზუგდიდში სპორტის ამ სახეობით გატაცებულ ბიჭებს რა გამოუდევს, მწვრთნელებმა მათ შორის ყველაზე პერსპექტიულები ამოარჩიეს და სულ მალე 10-15 წლის ფაწვილები გერონტი ნაჭყებიას, ოთარ თუბერიძის, ელგუჯა ქობითაძის, ზაალ ბულიას, გიორგი კალანდას ხელმძღვანელობით შეუდგნენ ინტენსიურ წვრთნას. „ოდიშელები“ კვირაში ხუთჯერ

ამხანაგური იქნებოდა ეს, საკონტრალო თუ ოფიციალური სატურნირო მატჩები. თავიდან ამის შესაძლებლობა არ იყო, მაგრამ პირველ რიგში საფეხბურთო სკოლის დირექტორის და „ოდიში 2001“-ის ვიცე-პრეზიდენტის რაფიელ ფარცხანიას წყალობით, გუნდს საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა ტურნირში მონაწილეობის შესაძლებლობაც მიეცა და ამა თუ იმ რაიონის თანატოლებთან შეხვედრისაც. წელს იანვარში ზუგდიდელები მარნეულის რაიონის სოფელ წვრეთელში საფეხბურთო სკოლის გახსნაზე იყვნენ მიწვეულები. „ოდიშის“ მოთამაშეები სკოლის პრეზენტაციასაც დაესწრნენ და ამხანაგური შეხვედრებიც ჩაატარეს. თანატოლ მასპინძლებთან უმცროსმა ოდიშელებმა გაიმარჯვეს, უფროსი ასაკის გუნდები კი მშრალი ფრთი დაემყოფილდნენ. „ოდიშის“ შესვეურებმა გუნდების თბილისში ყოფნით ისარგებლეს – ზუგდიდელი ფეხბურთელები მიხეილ მესხის სახელობის საფეხბურთო კლუბ „აეასას“ თანატოლებს ეთამაშნენ, მეორე კი „ლოკომოტივის“ კლუბ „ლოკოს“ და „შეარდვის“ ბიჭებს. ამ შეხვედრებმა ბევრი რამ დანახვა მწვრთნელებსაც და მათ აღსაზრდელებსაც. ახლა კლუბში იმ ხარკებზე მუშაობენ, თანატოლებთან შეხვედრისას რომ შეამჩნიეს მწვრთნელებმა, ტენიის სრულყოფაზე, ბრძოლისუნარიანობაზე ამახვილებენ ყურადღებას და მომავალი შეხვედრებისთვის ემზადებიან. კვლავ კვირაში ხუთჯერ ვარჯიშობენ, კვლავ ოფლს ღვრიან და ფეხბურთის მაღალ მწვერვალზე იცნებებენ.

მაგრამ დღეს უკვე ყველასთვის ცხადია, რომ თუ გუნდს, მოთამაშეებსა და მწვრთნელებს მატერიალურად არავინ ეხმარება, შეიძლება ფეხბურთელის ნიჭი ნიჭად დარჩეს, მწვრთნელის გარჯა გარჯად, ორივეს ოცნება კი ოცნებად. საბუნდობლოდ, „ოდიში 2001“-ის ფეხბურთელებს თანამემამულემ ბატონმა ლამა კვალიფიციენტმა იტვირთა და, როგორც კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ამბობს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბატონი ლამა რომ არა, ეს კლუბი არ იარსებებდა. ამ ჭეშმარიტმა მამულიშვილის, კეთილშობილი პიროვნების სპონსორობის წყალობით „ოდიში 2001“-ის ფეხბურთელები უზრუნველყოფილები არიან სპორტული ფორმებით, ბურთებით, სხვა საჭირო ინვენტარით, მწვრთნელები კი ხელფასებით. ბატონ ლამას თანადგომა და მხარდაჭერა არც შემდგომში დააკლებთ ოდიშელებს. იგი მათ საკუთარი საწვრთნელი ბაზის აშენებასაც ჰპირდება და ეჭვი არ არის, რომ ამ თავის დაპირებასაც პირნათლად შეასრულებს.

„ოდიში 2001“-ს ზრუნვა არც მშობლების მხრიდან აკლია. თამაზ რიგვაკა, ზენა შინია და სხვები ყოველთვის ცდილობენ შეიძლებისდაგვარად დაეხმარონ კლუბს. მხარში უდგას „ოდიში“ ზუგდიდის განათლების განყოფილებაც. ისე რომ დამხმარე და გულშემატკივარი კლუბს ნამდვილად ბევრი ჰყავს.



ვარჯიშობენ, ბევრ ოფლს ღვრიან, სწავლობენ ბურთის ფლობას, მოწინააღმდეგის გვერდის ავლის ხელოვნებას, ეხიარებიან კომბინაციური თამაშის, ტაქტიკის ანაბანას. იმავე დროს კი მათთვისვე შეუმჩნეველად ეს ბიჭები პიროვნებებად ყალიბდებიან, სწავლობენ თანადგომას, ურთიერთგაგანას, ვაჟკაცობას, იძინენ დასახული მინდის მისაღწევად აუცილებელ ჩვევებს.

პირველივე წელს „ოდიშის“ უფროსმა, 1986 წელს დაბადებულმა გუნდმა მიხეილ მესხის სახელობის თასის გათამაშების რეგიონალურ ეტაპზე პირველი ადგილი დაიკავა, თუმცა შემდგომ ეტაპზე ნახევარფინალში თბილისის „დინამოს“ თანატოლებთან დამარცხდა. 1987 წელს დაბადებულმა „ოდიშელებმა“ სლავა მეტრეველის თასის გათამაშებაში იმარჯვეს და სამეგრელოს რეგიონში პირველ ადგილზე გაუდინნენ. 1988 წელს დაბადებულმა ფეხბურთელებმა ვიტალი დარასელას სახელობის თასის გათამაშებაში იასპარეზეს წარმატებით. (III ადგილი) მათზე ერთი წლით უმცროსებმა კი ნოდარ ახალკაცის სახელობის ტურნირში (III ადგილი).

თქვენ იტყვით, მესამე ადგილი რა დიდი წარმატებააო, მაგრამ ნუ დაგაიწყებებთ, რომ „ოდიში 2001“, როგორც თავად კლუბის სახელწოდება მიგვანიშნებს, მხოლოდ მეორე წელია არსებობს და ამ მოკლე ხანში გუნდების ასეთ ღონეზე მომზადება სწორედ რომ დიდი წარმატებაა.

გარდა საწვრთნელი ვარჯიშებისა, ფეხბურთის ნებისმიერი გუნდისთვის სათამაშო ფორმის შესანარჩუნებლად მომზადების დონის, თითოეული მოთამაშის მზადყოფნის შესამოწმებლად, მწვრთნელის ტაქტიკური ჩანაფიქრის გამოსაცდელად, გამოცდილების შესაძენად აუცილებელია ამხანაგური შეხვედრები. ზუგდიდელს ძალიან სჭირდება ერთი გასულითი თამაშები,



ახლა ვერა თავად ფეხბურთელებზე და მათ მწვრთნელებზე. წინ დიდი ასპარეზია გადმოილი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ბიჭები ააღორძინებენ ბოლო ხანებში ჩამკვდარ ქართული ფეხბურთის ბრწყინვალე ტრადიციებს, თავსაც ისახელებენ, მწვრთნელებსაც ასახელებენ, საკუთარი გუნდის შესვეურებსაც და სამშობლოსაც. გახსოვდეთ, ბიჭებო ქვეყანას, ხალხს სპორტული გამარჯვებებიც ძალიან სჭირდება!

საბარძეველო
მრონსული
ბიბლიოთეკა

ეხოზბრივი ძაღისსმევიო ყველაფეის მივალწვი

წოზრის სტუპარია თვილისის 186-ე საშუალო სკოლა
გვესაუბრება სკოლის დირექტორი ძალბატონი ნანა გარღაფსამ

-ქალბატონო ნანა, თქვენი სკოლა შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა ქალაქში, ისევე, როგორც დიდი დიღომი, უბანი, რომელშიც ის მდებარეობს და მგონი, თავად თქვენც არცთუ ისე დიდი ხანია ამ სკოლის დირექტორი ბრძანდებით.

-ღიაზ, 186-ე სკოლა სხვებთან შედარებით ახალგაზრდაა, იგი 14 წლის წინათ გაიხსნა. მისი პირველი დირექტორი ავთანდილ ბუხჩაშვილი გახლდათ, მოგვიანებით იგი აწ განსვენებულმა თამაზ გამსახურდიამ შეცვალა, რომელსაც სკოლის მთელი კოლექტივი დღემდე მისტირის და დიდი პატივისცემითა და მოწიწებით იხსენებს - იმდენად კარგი პიროვნება და ხელმძღვანელი ყოფილა. მე სწორედ ბატონი თამაზის შემდეგ, 1998 წელს დამნიშნეს აქ დირექტო-



რამ, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს.

-როგორი მასწავლებლები და-

ენისა და ლიტერატურის თამრიკო ხმელიძე, ქართული ენისა და ლიტერატურის ლია მამულაშვილი, ნათელა ჯოხაძე, თამარ წამლაიძე. (ეს უკანასკნელი სასწავლო ნაწილის გამგეც გახლავთ), სხვები. საუკეთესო პედაგოგები გვყავს დაწყებით კლასებში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ბოლო 3-4 წელია დიდი დიღმის სკოლებში პირველკლასელთა ნაკლებობაა, ჩვენ კი ყოველ წელს სამ პირველ კლასს ვაკომპლექტებთ.

-უცხო ენებიდან ალბათ თქვენთანაც ძირითადად ინგლისური ისწავლება?

-ინგლისურიც და გერმანულიც, ჩვენთან უცხო ენების გაღრმავებული სწავლებაა. ამ საქმეს გერმანული ენის სპეციალისტი ქეთინო ჩიქოვანი



რად. მანამდე 20 წელი 67-ე სკოლაში ისტორიის მასწავლებელი გახლდით. ამ ადამიანის ხსოვნა კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას მავალება და, გამოგიტყდებით, ერთგვარი რიდით შემოვაბიჯე აქ, ვლელავდი, არ ვიცოდი, როგორ შემხვდებოდნენ პედაგოგები ასეთი ხელმძღვანელის შემდეგ.

საბედნიეროდ, ჩვენ ადვილად გავუგეთ ერთმანეთს. მე პირველივე დღიდან ვცდილობდი ის ჯანსაღი ატმოსფერო, ის თბილი და იმავდროულად საქმიანი ურთიერთობა შემენარჩუნებინა, ჩემ აქ მოსვლამდე რომ სუფევდა. არ ვიცი, რამდენად შემიწყო ხელი ჩემმა ჰუმანურმა ბუნე-

გზდნენ?

-შესანიშნავი! შესანიშნავი მასწავლებლები გვყავს, თქვენ წარმოიდგინეთ, მათგან 18 უმაღლესი კატეგორიისა - ამდენი ერთ სკოლაში კი არაა, შეიძლება ქალაქის ერთ რაიონშიც კი არ იყოს. მოსვლის დღიდანვე გამაოცა აქაურმა გაკვეთილებმა. არასდროს დამავიწყდება ქიმიის მასწავლებლის ლირა შარშიაშვილის არაჩვეულებრივად საინტერესო გაკვეთილი „ელემენტების პოლიუმი“, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მაგული გვარამიძის გაკვეთილი. მერე და მერე დავრწმუნდი, რომ სხვა მასწავლებლებიც ასეთივე ძლიერები არიან: რუსული

ხელმძღვანელობს. ჩვენმა ბავშვებმა ჩვეულებრივი პროგრამით გათვალისწინებულზე ბევრად ღრმად იციან ინგლისური თუ გერმანული ენა, ისინი კლასიკოსთა ნაწარმოებებსაც თამამად კითხულობენ, შეუძლიათ ღონისძიება თავიდან ბოლომდე უცხო ენაზე წარმართონ. ყოველ წელიწადს ჩვენი ორი მოსწავლე მაინც მიდის აშშ-ში სასწავლებლად და იქ მათ ენის ცოდნასთან დაკავშირებით არავითარი პრობლემები არ ექმნებათ. ცხადია, ყოველივე ეს უწინარესად ჩვენი მოსწავლეების დამსახურებაა. სკოლაში ინგლისურის ჩინებული სპეციალისტები გვყავს, მათ შორისაა ნანა თოფურია, რომელიც განათლე-

ბის ამერიკული საბჭოს მიერ ორი კომპიუტერთი, ქსეროქსითა და მეოთხური ლიტერატურით დაჯილდოვდა. ნანა მასწავლებლის ამ გამარჯვების წყალობით ახლა სკოლაში საუცხოო ინგლისური ენისა და ლიტერატურის კაბინეტი გვაქვს. ასეთივე შესანიშნავი პედაგოგი და სპეციალისტია დარეჯან გურასაშვილიც, მოგეხსენებათ, იგი მოძღვრალიცაა და თავის გაკვეთილებზე საუცხოოდ იყენებს სიმღერას, ისე რომ დარეჯან მასწავლებლის ინგლისურის გაკვეთილები ყოველთვის საინტერესო და ხალისიანია და ბავშვებიც ადვილად ითვისებენ ენას. მაღალ დონეზე ისწავლება გერმანული ენაც. ჩვენთან ხშირად მოდიან უცხოელი და მათ შორის გერმანელი სტუდენტები. ისინი ესწრებიან გერმანულის გაკვეთილებს, მოსწავლეთა ძალებით დადგმულ სპექტაკლებს გერმანულ ენაზე და ყოველთვის გაკვირვებულები და აღტაცებულები რჩებიან ჩვენი მასწავლებლების მაღალი პროფესიონალიზმით და მოსწავლეთა ცოდნით.

უცხო ენების გაღრმავებული ისწავლება იმას როდი ნიშნავს, რომ დანარჩენ, თუნდაც ტექნიკურ საგნებს ნაკლები ყურადღება ექცევა ან მათი სუსტი სპეციალისტები გვაქვს. ჩვენი იზო ჩარგეიშვილი, რუსუდან ფრუიძე, მადონა ჯავახიშვილი, ავთო გოგოლაძე შესანიშნავი მასწავლებლები არიან.

უფროსი სასწავლო ნაწილის გამგე მზია კორძია, სასწავლო ნაწილის გამგეები თამარ წამალაძე და ქეთევან ჩიქოვანი, დაწყებითი კლასების სასწავლო ნაწილის გამგე ლალი ხარაშვილი, დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში მერაბ ბაკურაძე – ეს ის ბირთვია, რომელიც ყოველთვის საიმედო დასაყრდენ ძალად მეგულება და მჯერა, რომ თითოეული ჩვენგანის ერთობლივი ძალისხმევით ყველა ამოცანას გადავჭრით.

სკოლაში ტრადიციულად ტარდება სხვადასხვა შემეცნებითი თუ გასართობი ღონისძიებები: სამობაო ზეიმი, კონცერტები, თეატრალიზებული ზღაპრების წარმოდგენები და სხვ. ბუნებრივია, ზღაპრებით ძირითადად

უძეცროსკლასელები არიან გატაცებული, ხოლო ამ საქმეს ეკა ლომითიძე ხელმძღვანელობს. მის მიერ განხორციელებული ყოველი დადგმა ისეთი ღონისაა ხოლმე, რომ პროფესიული რეჟისორის ნამუშევარი გეგონებათ. გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოსწავლეები ხშირად დაგვეყავს ექსკურსიაზე.

სკოლის შენობაში პირველ საერთულზე ეკლესია გვაქვს, მისი მოძღვარი მამა დავითი ღვთისმსახურებასაც აღასრულებს და რელიგიის გაკვეთილებსაც უძღვება.

-ქალბატონო ნანა, თქვენს სკოლაში რუსული სექტორიც არის, ბევრი მოსწავლეა ამ სექტორზე?

-მთელ დიდ დილოში რუსული სექტორი მარტო ჩვენს სკოლაშია და შეიძლება ითქვას, რომ უბნის თითქმის ყველა რუსულენოვანი სასკოლო ასაკის ბავშვი ჩვენთან სწავლობს, თუმცა კონტინგენტს დიდი არ ეთქმის, თითო კლასში 9-15 მოსწავლეა. აქვე მინდა დიდი მადლობა გადაუხადო ქალაქის განათლების განყოფილებას, პირადად მ. სტურუას, რომელიც ხელს უწყობს მცირეკონტინგენტთან კლასებს და ყოველთვის ზრუნავს მათ დაფინანსებაზე.

-თქვენი სკოლა საკმაოდ დიდი უნდა იყოს, ამას ისიც ემატება, რომ დიდი დილოში საკმაოდ მოშორებული რაიონია, პლუს ქვეყანაში არსებული საერთო ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა, სხვაც ბევრი რამ, და ალბათ, ბევრი სიმწველე გზვდებით მუშაობაში?

-სკოლაში 44 კლასი და 1158 მოსწავლეა, 1158 სხვადასხვა ხასიათის, მონაცემების, მისწრაფებების, სულიერი აღნაგობის ბავშვი და თითოეული მათგანის პიროვნულ „მეს“ სწორედ სკოლაში სწავლის წლებში ეყრება საძირკველი, აქედან იწყება ის ცხოვრებისეული გზა, რომლითაც თითოეულმა მათგანმა უნდა იაროს. ამ გზაზე გასასვლელად კი ჩვენ უნდა მოვამზადოთ ისინი. 186-ე სკოლის კოლექტივის ყოველ წევრს დიდი ხანია გათავისებული აქვს ამ მოვალეობის უდიდესი მნიშვნელობა და საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნე-

ბით, ბავშვების დიდი სიყვარულითა და ერთგულებით ემსახურება მას.

მინდა გითხრათ, რომ ბედნიერი ვარ, რომ მასწავლებლების სახით ერთგული თანამოაზრეები მყავს და მწამს, რომ მათი მხარში დგომით ბევრს გავაკეთებთ და სწავლების რეფორმის პროცესებსაც წარმატებით დავაგვირგვინებთ. მაგრამ მატერი-ალურ-ტექნიკური ხასიათის სიძნელეებს ვერც ჩვენი ერთსულოვნება შეულის და ვერც მასწავლებელთა მაღალი პროფესიონალიზმი. სკოლის შენობაში დღიდან მისი აგებისა კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა და მცირე თუ სერიოზული დაზიანებები პრობლემებს გვიქმნის. ყველაზე დიდი პრობლემა კი სასწავლო კორპუსის მრგვლოვან გადახურვასთან არის დაკავშირებული. წვიმიან ამინდში მეოთხე სართულზე მუდმივად ჩამოდის წყალი, სახურავის ნაწილ-ნაწილ შეკეთება არაფერს იძლევა, გვესმის, რომ შენობის ხელახლა გადახურვა დიდ სახსრებთან არის დაკავშირებული, მაგრამ რაც უფრო გაჭიანურდება სარემონტო სამუშაოები, მით უფრო მეტი გასაკეთებელი იქნება. გვპირდებიან, რომ მოგვხელდავენ და ვნახოთ... ჯერჯერობით კი თუ რამის შეკეთებას, შექენას ვახერხებთ, ისევ ჩვენი გარჯითა და მშობელთა შემოწირულობებით.

ჩვენი უბნის თავისებურების გამო აქ ყველანი – მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც ერთმანეთის ნაცნობები, მეზობლები ვართ და ამდენად ყველანი ვალდებული ვართ პირნათელნი ვიყოთ ერთმანეთის წინაშე.

-სკოლის გარდა სადმე თუ მონდომებით მუშაობას?

-სკოლა ის სამყაროა, რომლითაც ვცოცხლობ, სხვა სამუშაოზე ჩემი თავი ვერც წარმომიდგენია. იცით, მე ჩემს თავს ჯარისკაცს ვადრი, სულ მზადყოფნაში, სულ შემართული ვარ. დილის რვა საათიდან, გვიან საღამომდე სკოლაში ვარ. ეროვნული სკოლა საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და თითოეულ ჩვენგანს, განათლების ყველა მუშაკს დიდი ძალისხმევა გემართებს ამ პროცესის წარმატებით დასაგვირგვინებლად.

მრუდე ხის ჩრდილი

მოთხრობა

"მე ვრის მიძღვრეს ასრცილონს მრყოცინს ხისხსა განმართვად..."

ცხოვრება მშვენიერებისა თაბარისი


ქერა ვაჟკაცი შუბლით მიყრდნობოდა ხეს, მალვით გასცქეროდა ტყის პირად ჩრდილში მსხდომ მთიბავეებს. მთიბავეები სამხრობდნენ, ისვენებდნენ, ლალობდნენ.

მკერდიც მიანდო ხეს. ამოიოხრა, შვიდი დღეა ებრძვის შიმშილს. გუშინ მზე რომ გადაიხარა და მთიბაენი წავიდნენ, ფარულად გამოვიდა ტყიდან. ხის ძირას მზეზე გაფიცხებული ხშიადის ორიოდე ნატეხი ეგდო, ფრინველნი დასეოლდნენ. შეუტია და გააფრთხო. ახალი ხაზვის რამდენიმე მწვანე ფოჩიც იპოვა. ხარბად შეჭამა მცირე ნაშოვარი და ხევში ავიდა. ხარივით დაეწაფა წყაროს.

ეს იყო და ეს... შვიდ დღე-ღამეში მხოლოდ ერთხელ.

მალე თიბვასაც მორჩებიან მთიბაენი და მათთან ერთად გაქრება მათი ნასუფრალიც. შერჩება იგი ამ ხრიოკს. იმედი კი არსაიდან არი. ყველანი შემოეფანტნენ, გაგზავნილი ბიჭებიც აღარ გამოჩნდნენ, მათაც უღალატეს განდგომილს.

უნდა ილონოს რამ. ხეს მოსცილდა, მთიბავებთან მისვლა გადაწყვიტა.



მიიპატიჟებენ, დანაყრდება, ღონეს მოიკრებს და შემდეგ გზაც გამოჩნდება. უხმოდ გადალახა ტყის პირი, თავს წაადგა სამხრად მსხდომ გლეხებს.

მთიბავეები შეკრთნენ, ჭაბუკი უნებურად ფეხზე წამოხტა. მოხუცმა გლეხმა ახედა უცხოს, დააკვირდა: პირთან მიტანილი ლუკმა ხელში შერჩა. შემოთოდა, იცნო მოღალატე გუზან... ნამგლისკენ გააპარა მარჯვენა, მაგრამ სძლია რისხვას, საღამზე უპასუხა და წამოიწია.

მოსული იდიმებოდა. მის

ჭროლა თვალებს სისხლი მოსწოლოდა. იდუმალი ტანჯვის ჩრდილი შენიშნა გამოცდილმა თვალმა ამ გადიმებულ სახეზე. დაკვირვებით ახედა ბრგე ვაჟკაცის გაბურძგნულ ქერა თმაცვერს და ფეხზე წამოდგა. —მობრძანდით, მშვიდობამც მოგეტანოს!

ლოდზე ჩამოჯდა მოსული, ტყეში წანწალით შემოგლეჯილი ჩოხის კალთები მალვით მუხლებზე ჩაიკეცა და მწვანეზე გაშლილ მცირე სუფრას დაახედა.

—ნადირმა გამომიტყუა, ვდიე, ამხანაგს ავცდი... ხევს ჩამეხვეწა წყეული, კვალი დაკვარგე... მომწყურდა, წყაროს ვერსად მივაგენ და, ის იყო, თქვენც დაგინახეთ...

დაბნევით ამბობდა მოსული და მწვანეზე გაშლილ ქერის პურებს, კალმახის ნარჩენს და ახალ მწვანეებს უფრო დასცქეროდა, ვიდრე წყლის კოკას, იქვე, ფეხბთან.

—თუკი იკადრებთ...

წამოიძახა მოხუცმა მთიბავმა, კოკას დასწვდა, პირი მოუქცია და მიაწოდა სტუმარს, რომელსაც, თუმცა წარჩინებულის ტანისამოსი ეცვა, მაინც ყაჩაღს უფრო ჰგავდა, ვიდრე მონადირეს.

—იქნებ სამხარზეც დაგვეწვიოთ?

სტუმარმა თაფლისფერ უღვაშებზე ხელი გადაისვა, დანამული წვერი ჩამოიწმი- ნდა და სუფრას დახედა:

—დილას კარგად გიახე- ლით...

ჩაიბურტყუნა და ხელი უნებურად გაექცა სუფრი- სკენ. ხარბად ჭამდა, ცივ წყალს აყოლებდა და მა- ლვით აკვირდებოდა მოხუ- ცის გამომცდელ თვალებს.

—სადაური ბრძანდებით, ბატონო?

სტუმარმა წაუყრუა. პურს დასწვდა.

—თქვენ ვისი ყმანი იქნე- ბით? ბევრი მივლია, მაგრამ ეს ადგილები უცხოა ჩე- მთვის.

—მცირეჯვრელები გახლა- ვართ. თუ მცირესაც შე- იცდით, თიბვას მოვრჩებით და ამაღამ ჩვენი სტუმარი იყავით, დაგზვდებით...

შეპარვით ამბობდა მო- ხუცი და თვალს არ ამო- რებდა ქერა დეეკაციის ხე- ლების მოძრაობას დაცარი- ელებულ სუფრაზე.

„უნდა ჩამიბყუოს ბებე- რმა... თამარის ძაღლთაგანი იქნება, — ფიქრობდა გუზანი, — ცბიერი თვალი აქვს, ხომ არ მიცნო?“

თან მწვანაილს ახრამუნე- ბდა. თვალები დაეწმინდა, თითქოს გამხიარულდა კი- დეც. თვალი თვალში გა- უყარა მოხუცს, შემდეგ გა- ნზე მორიდებით მდგარ ჭა-

ბუკს ახედა.

—მაღლობთ, არ მცალია, პარასკევს მეფეს უნდა ვე- ახლო თბილისს. სამური სა- ქმე მაქვს, გზას გავუდგები.

—მეფე ვარძიას დგას, ბა- ტონო, მოკლე გზით გადა- გიყვანთ ხვალვე.

გულწრფელი წამოძახი- ლით დაასწრო ჭაბუკმა მო- ხუცს. პირქუში მზერა შე- აგება მოხუცმა შვილიშვი- ლის ნათელ თვალებს. თვალი შეასწრო სტუმარმა. ტუჩზე იკბინა, ფეხზე წა- მოდგა.

—უკეთესი, თუ მეფე ვა- რძიას დგას, აცდენილთ მო- ვნახავ, აქვე იქნებიან სა- დმე, და ერთად მივეახლე- ბით... მშვიდობით!

სანამ ტყეს მიაღწევდა, რამდენჯერმე მიიხედა უკან, თითქმის მირბოდა. ბოლოს ტყეს მისცა თავი, გაუჩინა- რდა.

—რეგვენო, რას გა- აფრთხე? მეფეს რად ახსე- ნებდი!

ხელები უთრთოდა მო- ხუცს, ცახცახებდა. ჭაბუკი განცვიფრებული შეჰყურე- ბდა პაპას.

—ვინ იყო?

—მოლალატე, ავაზაკი... მე- ფის და სამშობლოს მტერი — გუზანი.

აილეწა ჭაბუკი, ნამგალს დასწვდა.

—დავედვენოთ...

მოხუცმა ფეხი დაადგა ნა-

მგლის ტარს.

—გუზანს არ იცნობ, ვთხოვ- რია...

—ორნი ვართ!

—ცოცხლად უნდა შევი- პყროთ, ვაჟო, მეფეს მივგვა- როთ... გადირბინე, მთიბა- ვნი აშალე. ტყეს შემოჰფინე, ფრთხილად მოჰყეთ. მე თავს დაუუვლი, ბერისხე- ვთან ჩაუუჯდები. სხვა გზით ვერ წავა. თუ წავა და, თა- მარის სპას წააწყდება.

ჭაბუკი თავქვე დაეშვა. მოხუცმა ჩოხის კალთები აიკეცა, ნამგალს დასწვდა და მგლური ნაბიჯით გა- დაჭრა ხევი.

გუზანს შორიდან ფრთხილი ფაჩუნი მოესმა. ყოველი მხრიდან ერტყმოდა ეს ხმა, მღვერის ფრთხილი ნაბიჯის ხმა. წვიმის წვეთი რომ დაეცემა გამხმარ ფო- თოლს, მას ჰგავდა ეს ში- შის აღმძვრელი ჩქამი, ელდას იწვევდა, გარბოდა გუზანი.

მწუხრზე ახალი მთვარე დაიბადა.

ლტოლვილი დაიქანცა. შესვენება ეწადა. მცირე ხეკს მიაღდა, ხეს მიეყრდნო და მთვარის შუქით ოდნავ ცხადქმნილ სივრცეს გა- ხედა.

ბუჩქიდან ვიღაც წამოდგა,

მისკენ წამოვიდა და შემოსძახა:

-გუზან, დაგვებდი, გიცანიით... ვერსად წაგვიხვალ!

იცნო მოხუცი, გააფთრდა... მთვარემ ხმაღს ელვარება შემატა.

-გზას მიღობავ, ბებერო? აგჩეხავ!

ხმაღდახმაღ მიეჭრა მოხუცს.

ნამგალი იფარა მოხუცმა, აიცდინა. მის ყურთან დაიწვილა მძიმე გორდამ. წახდა მოქნევა, წაბარბაცდა გუზანი. მოუქნია ნამგალი ბერიკაცმა, ცერი თითი მოასხიბა მარჯვენაზე... დაივივლა გუზანმა. ჟრიალით დაეცა მისი ხმალი მიწაზე, მაგრამ არ შედრკა, მარცხენა იტაცა სატევეარზე და ძუძუს ქვეშ აძგერა მღევარს.

ბერიკაცი აკვნესდა. მუხლისთავებზე დაჩოქილი იცავდა თავს.

ფეხდაფეხ მოჰყვნენ გუზანს მთიბაზნი. ყიჟინით გადმოლახეს ტყისპირი, შემართული ნამგლები ელავდნენ მთვარის შუქზე. გარს შემოერტყნენ მოკენწლავით...

გატყდა ქერა ვაჟკაცი, სატევეარი გააგდო ხელიდან, დაიჩოქა მთიბავთა წინაშე და ბლავილით ალულლულდა.

ხელებგაკრული მიჰგვარეს დავით სოსლანს მო-

ღალატე. თავდახრილი იჯდა მჭმუნვარე მეფე ვარძიის დარბაზში. არც შეუხედავს მოღალატისთვის, მძიმე ფიქრს მისცემოდა.

მკაცრი სასჯელის დირსია გუზანი.

მაგრამ თამარი?

რას იტყვის მისი წმინდა გული? რას გაიმეტებს გუზანისთვის? კიდევ შეუნდობს? გადასცეს თუ არა თამარს მოღალატე?

სანამ სისხლის სუნი ტრიალებს, უნდა დაისაჯოს განდგომილი, ბილწი გუზანი. დრო რისხვას აქრობს, ცეცხლს ანელებს, ჭრილობებს აშუშებს... ვაითუ კიდევ შეუნდოს თამარმა? ახლავ უნდა მიეზღოს საკადრისი მოღალატეს.

წამოდგა მეფე, დარბაზის სარკმელს მიაპყრო მკაცრი თვალი, არც თავდახრილი განდგომილი შერხეულა.

-წაიყვანეთ... თვალნი დასწვით და ბნელს ჩააგდეთ!

ჭროლა თვალებზე აიფარა გუზანმა ხელი, დაიკვნესა.

-ღირსი ვარ მეტის...

იტაკზე აფორთხდა მორიელივით, შენდობას ითხოვდა.

ისანში მდგომ თამარს თვით დავითმა მოახსენა გუზანის შეპყრობის და თვა-

ლთა დაწვის ამბავი...
-მეფური წყალობა ერთგულ მთიბავთა!

-ებოძათ აზნაურობა და გუზანის მიწა-წყალი!

-კეთილ არს წყალობა მეფეთა ერთგულთა ზედა!

-მოღალატეს?..

ჩაფიქრდა თამარ, თვალები სევდით დაეჩრდილა. წამით გაახსენდა ბავშვობა, ქერა გუზანთან თამაში, სიყმაწვილე, შემდეგ გამეფება, ღალატი. გულისმომკვლელ ჭრილობები, პატიება? კვლავ სისინი მეშურნეთა და განდგომილთა... და დარწმუნება, რომ შებრალებათ მტერს ამრავლებს...

„რა ვქნა, მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად!..“

გაიფიქრა და ქმარს შეხედა.

მღუპარედ იდგა დავითი, გაგება ეწადა თამარის ფიქრის.

მიუხვდა თამარ, წყნარად წარმოთქვა:

-უნდა წარიკვეთოს ხე, მრუდი, რათა განქრესს აჩრდილიც მისი.

და სიყვარულით შეხედა ქმარს.

„ესრეთ საზარელი იყო თამარ მტერთა ზედა“, ამბობს ქართული მატიანე.



ოფოშხერი

ამ მშვენიერი ჩანახატების ავტორი ზურაბ კოჭლამაზაშვილი, თბილისის გ. ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლის III კლასი მოსწავლეა. ამ უდაოდ ნიჭიერ ბიჭუნას ნაწერებში იგრძნობა დიდი სითბო და დაკვირვებული თვალი.

ალუბლის ხე

ჩემი ოთახის ფანჯრის წინ, ძალიან ლამაზი ალუბლის ხეები დგას. ყოველ გაზაფხულზე ისინი პატარძლებივით ირთევიან თეთრ კაბებში.

ერთხელ მე და ჩემი ძმა ფანჯრიდან ვიყურებოდით. დავინახეთ ჩვენი მეზობელი ბიჭები, ისინი სკოლაში მიდიოდნენ. მათ წითელკაბიანი გოგონა წამოეწიათ. ერთმა ბიჭმა ალუბლის აყვავებული ტოტი მოტეხა და გოგონას ნაწნავში ჩაურჭო.

ალუბლის ყვავილი გოგონას ლამაზ თმებში გაინაბა. გოგონა იცინოდა, იცინოდა და გარბოდა. უეცრად ყვავილი გოგონას თმებიდან ძირს ჩამოვარდა და ტალახიან ასფალტს დაენარცხა, თეთრი კაბაც დაესვარა. ჩვენმა მეზობემაც არ დააყოვნა და თავისი დიდი ცოცხით მასთან გაჩნდა. ცოცხმა: —ბოდიშო, ჩუმად ჩაილაპარაკა და თავისი ჩხვლეტია ხელებით ალუბლის ყვავილი ნაგვის გროვასთან მიიყვანა.

კუყურებდი ალუბლის ხეს და ვგრძნობდი როგორ ტიროდა.

მწარე

არ გეგონოთ წინააღმდეგ ვამბობდე, მე ჩემს პაპაზე გიყვებით. ის კახეთში ცხოვრობს და სოფელში მას მწარეს ეძახიან. ეს იმიტომ, რომ ძალიან მწარე ენა აქვს, ყველას სიმართლეს პირდაპირ ეუბნება.

სინამდვილეში პაპა ძალიან კეთილია. მას ძალიან უყვარს ბავშვები, ბუნება, თავისი შინაური ცხოველები. ხომ ყველას ურჩევნია.

თებერვალი რომ მიიწურება და თოვლი დნობას დაიწყებს, მე და პაპა ტყეში მივდივართ ენძელების სანახავად.

—ლამაზებო, უკვე გაიღვიძეთო?!—უტყვის და მოეფერება.

მე და პაპა რამოდენიმე ენძელას ფესვიანად ვიღებთ და დელასთვის მიგვაქვს. დედა ენძელებს ეზოში რგავს.

მერე ენძელები დიდხანს იპრანჭებიან ჩემს ეზოში.

თბილისში ძალიან მენატრება ხოლმე ენძელებიანი ფერობი.

ბკრიტები

ერთ დღეს შევნიშნე, რომ ჩემი აივნის კუთხეში ორი ფრინველი ბუდეს იკეთებდა. თავიდან მტრედები მეგონა, მა-

გრამ გვრიტები აღმოჩნდნენ. ერთი მოზრდილი იყო, მეორე კი შედარებით მცირე ზომის. ისინი დიდი მონდომებით შრომობდნენ და აგებდნენ თავიანთ ბუდეს. რამდენიმე დღის შემდეგ ბუდე მზად იყო. გვრიტები შიგ მოკალათდნენ და ტკბილად ალულუნდნენ.

ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ, მალე კვერცხებიც დადეს. მამალი გვრიტი თავდაუზოგავად შრომობდა, რომ დედალისათვის ესამოვნებინა.

ბუდეში უზიდავდა საჭმელს, აივანზე რომ ხორბალს და ვუყრიდი, მამალი გვრიტი ჩამოვიდოდა და იქამდე ილულუნებდა, სანამ დედალიც არ ჩამოფრინდებოდა და არ მიირთმევდა ჩემს დაყრილ საჭმელს.

მინდა ერთი შემთხვევის შესახებ გიამბოთ, რომელიც ჩემს გვრიტებს შეემთხვათ: მარტის ბოლო იყო, წვიმა და საშინელი ქარი ქროდა. ქარმა ბუდე დაანგრია. უნდა გენახათ, მამალმა გვრიტმა როგორ იყოჩაღა და დედალი გადაარჩინა. მართალია, კვერცხები დაემტვრა, მაგრამ მაინც ბედნიერები ჩანდნენ, ქარიშხალს რომ გადაურჩნენ. როგორც კი ამინდი გამოვიდა, მამინევე ახალი ბუდის მშენებლობა დაიწყო.

ბეკოს ოინება

ამ ზამთარში, სოფელში ყოფნისას მამამ ფერმიდან უდელი ბატკანი მოიყვანა. მედა ჩემმა ძმამ გავათბეთ, დავაპურეთ. დამფრთხალი ბეკო სწრაფად შეგვეჩვია. ყოველდღე ახალ მოწველილ ძროხის თბილ რძეს ვასმევდით. ბეკოს მოსწონდა თბილი ოთახი და მთელ სახლს მხიარული ღიღინით აესებდა.

მალე არდადეგები მიიწურა და თბილისში წამოვედით. ბეკო სოფელში დარჩა და მას ბებო უვლიდა. ბეკო იზრდებოდა, მაგრამ ძროხის რძე ისევ ძალიან მოსწონდა.

ერთხელ ბებოს სახლის კარი ღია დარჩენოდა, ჩვენი ბეკო თამამად შებრძანდა ოთახში და პირდაპირ უშველუბელი სარკის წინ აღმოჩნდა. ბეკომ სარკეში დანახული ანარეკლი თავის მოწინააღმდეგედ ჩათვალა და რქებით სარკეს დაეჯახა. რამოდენიმე დაჯახების შემდეგ მტერი განადგურებული იყო, ბეკო კი მუხლამდე სარკის ნამსხვრევებში იდგა.

სამსახურიდან მობრუნებულ ბებოს სახლში ასეთი ალი-აქოთი დახვდა. იმ დღის შემდეგ ბეკოს სახლში შესვლა აეკრძალა.

შენზე ფიქრით რომ ათენებენ...

ლიბილი ლიბილის წილი...

ექვსიოდე წლის პირმშოს სასკოლო ოთახის კარებთან ხელს რომ შეუმეცხვ, ის კი რიგნამდგარ თვალს უხმო მუდარით რომ გამოგაყოლებს, განუზომლად დიდი უნდა იყოს მასწავლებლის ღიმილის ხიბლი, რათა გულიც საგულეს ჩადგეს და პაწიამაც ნდობით გადაიტანოს მხერა შენგან მასზე...

ამგვარი ხიბლი ყოველი პედაგოგის პროფესიული ბედნიერებაა, ეს ისაა, რასაც ვერსად იხსნავი - ვერც უნივერსიტეტში, ვერც სკოლაში, მაშინაც კი, როცა დიდი პრაქტიკული გამოცდილება გაგაჩნია. სწორედ ეს ხიბლი აქვს უხვად მომადლებული გულიყო ჯიშკარიანს, თბილისის 161-ე სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელს. გულყო მასწავლებელი ის ადამიანი გახლავთ, რომელსაც დიდი შინაგანი სითბო, ბავშვების წრეული სიყვარული საკლასო ოთახის ზღურბლის გადაბიჯების უმაღლესი ავიწყებს ყოველგვარ საზრუნავს, ტყივილს და დაღლას და 45 წვეილი ცნობისმოყვარე თვალთ შეახედებს სამყაროსათვის, მათზე ფიქრით, ზრუნვით შემოუფარგლავს თვალსაწიერს.

ბავშვობიდანვე იყო ფიქრი მასწავლებლობაზე, გულიყო ჯიშკარიანს ახლაც ასისვი წყალტუბოს პირველი სამუალო სკოლის პირველი გაკვეთილი, პირველი დღე, პირველი მასწავლებელი ქალბატონი მარიამ ჯიშკარიანი.

1966 წელს დაამთავრა თბილისის მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ქალბატონი გულიყო დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებს სტუდენტობის წლებს. დიდი სითბოთი და სიყვარულით ყვება პროფესორებზე ვალერიან რამიშვილზე და სამა წერეთელზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მომავალი პედაგოგის დახელოვნებაში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 22 წლის ახალგაზრდა მასწავლებელი მუშაობას იწყებს თბილისის 62-ე სკოლაში, ხოლო 161-ე სკოლის გახსნის დღიდანვე დღემდე ამ სახელოვანი ტრადიციების მქონე სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელია. თუ ჩემში კარგი რამ არის, გვიამბობს გულიყო ჯიშკარიანი, - ამ სკოლის კოლექტივის, პედაგოგების მერი ლომიძისა და თამარ ვახტანგაძის დიდი დამსახურებაა. დაიხ, სწორედ ისინი ამოუდგნენ მას გვერდში ისევე, როგორც მრავალ სხვა ახალგაზრდა, დამწყებ პედაგოგებს. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. გულიყო ჯიშკარიანი კარგა ხანია ბებიაა, მისი ვაჟი კობა ცხაკაია რეჟისორია, შეილიშვილები ლევანი და ირაკლი კი ამავე სკოლაში სწავლობენ.

ოთხი ათეული წელია ამაგდარი პედაგოგი დაუღალავად ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. იგი წლების მანძილზე იყო რაიონის მეთოდგურთიანების ხელმძღვანელი, რაიონის მთავარი სპეციალისტი. დღესაც მრავალი ახალბედა მასწავლებელი ეზიარება პედაგოგიური ხელოვნების საიდუმლოს გულიყო მასწავლებლის ხელმძღვანელობით. მრავალი თაობის აღმზრდელი, ყველასთვის საყვარელი გულიყო მასწავლებელი დღესაც პატარების უზომო სიყვარულით ცხოვრობს. პატარებსაც ძალიან, ძალიან უყვართ იგი. ეს სიყვარული კი უპირველესად ყოველდღიური დაუღალავი შრომის, მოზარდის სათუთ, მგრძობიარე სულთან თანაზიარობის, ფაქზი დამოკიდებულების შედეგია. გულიყო მასწავლებელი მოსაბუზრებელი შეგონებების, ჩიხინის გარეშე თესავს პატარების სულსა და გონებაში სიკეთეს, ასწავლის მოყვასის სიყვარულს, სამშობლოსთვის თავდადებას, მშობლების პატივისცემას, ურთიერთგაგებას. ვთქვათ, დასვენებაზე თანაკლასელი ყოფილი ბიჭები წაიყვალდნენ, რაღაცა ვერ გაიყვეს, ერთი ორი კიდევ უთავაზეს ერთმანეთს, გულიყო მასწავლებელი სწრაფად შეარიგებს პატარა მოჩუბრებს, მერე კი გაკვეთილს, თითქოს სხვათაშორის, მეგობრობაზე საუბრით დაიწყებს, მოუყვება გოგო-ბიჭებს, როგორ აუფარა მეგობარი მეგობრის წილ ტყვიას, როგორ გაიყო ცხრა მძამ ერთი თხილის გული, როგორი საბრალო და მარტოსულია უმეგობრო დარჩენილი გაუტანელი ადამიანი. კლასი ინტერესით უსმენს, იმახსოვრებს და თითავისებს საყვარელი მასწავლებლის ნათქვამს, გონებაში და სულში შემდგომში გამოსაყენებლად ცოდნად თუ ჩვევად რომ იღებება.

სკოლიდან გამოსულ გულიყო მასწავლებელს ქუჩაშიც ხიბლი მოჰყვება, თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხელებიან ნამოწაფარები ან მათი მშობლები, მიაბიჯებს ქუჩაში პირნათელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და მის სახეს არ შორდება ღიმილი - ღიმილი ღიმილის წილ...

ოლეგ გავლიანი

ლირიკურობის "გულოთმისნობის" შეიქვი

იმას, რომ სხვებისთვის გაუმდებელი ოცნება აუხდა და დღეს დაწყებითი კლასების მასწავლებელია, ნინო ბაბუციძე 161-ე სკოლის დირექტორის ბატონ ჯუმბერ ცერცვაძის „გულოთმისნობას“ მიაწერს. გულოთმისნობა იყო აბა რა, როცა მასთან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ქალიშვილი მივიდა და მათემატიკის საათები სთხოვა, მან კი მცირე გასაუბრების შემდეგ შემხვედრი წინადადება შეაგება, გადამხადების კურსები გაიარე და დაწყებით კლასებს მოცემო. ასე გახდა ნინო ბაბუციძე დაწყებითი კლასების მასწავლებელი.

მასწავლებლობა რომ მისი მოწოდება იყო, ბავშვობაშივე გამოვლენდა, ყველაზე მეტად სკოლაბანას თამაში უყვარდა, დედაც პედაგოგი ჰყავს და უთუოდ ამანაც იქონია გავლენა. 12 წლამდე ნინო 101-ე სკოლაში სწავლობდა, მერე კი 125-ე სკოლაში გადავიდა, სადაც დედა მუსიკალურ სტუდიას ხელმძღვანელობდა. კარგად სწავლობდა, უფრო ტექნიკური საგნები უყვარდა. ხალისით მონაწილეობდა სასკოლო ღონისძიებებში, რომელთა ორგანიზატორი და ხელმძღვანელი უფრო ხშირად დაწყებითი კლასების მასწავლებელი, არაჩვეულებრივი პედაგოგი და შესანიშნავი ადამიანი ქალბატონი ირინა სისარულიძე იყო ხოლმე. ირინა მასწავლებელთან სისტემატურმა ურთიერთობამ, მისმა საოცრად დიდმა სიყვარულმა თავისი საქმისადმი გადამწყვეტი როლი შეასრულა მომავალი პროფესიის არჩევაში. 18 წლის ნინომ პედაგოგიური უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე ჩააბარა გამოცდები. სწავლის პერიოდში ჩემ-ჩემად სულ პატარების მასწავლებლობაზე ოცნებობდა. მშვიდი, ერთფეროვანი ცხოვრებით არასდროს უცხოვრია, ათი წელი იამზე დოლაბერიძის გოგო-



ნათა ანსამბლში ცეკვავდა, დაამთავრა მუსიკალური სტუდია, მშვენიერი ხელსაქმე იცოდა და იცის, თუმცა როგორც თავად ამბობს, სამწუხაროდ, ახლა ამისთვის დრო აღარ რჩება.

დახელოვნების ინსტიტუტში ერთწლიანი კურსის გავლის შემდეგ ახალგაზრდა პედაგოგი ნინო ბაბუციძემ კვლავ შეაღო თბილისის 161-ე სკოლის კარი, ორი წელი კვლავ პედაგოგად იმუშავა, მერე კი ის დიდი ხნის ნანატრი დღეც დადგა - პირველი კლასი ჩააბარეს სადამრიგებლოდ. ეს ნინო ბაბუციძის პირველი პირველი კლასი იყო. თვალმანარა გოგო-ბიჭებისთვის კი იგი პირველი მასწავლებელი გახდა და ასეთად დარჩება მთელი მათი სიცოცხლე. დღეს ის პირველი კლასი უკვე მეოთხეა, ცოტაც და ნინო მასწავლებელი შემდეგ საფეხურამდე მიაცილებს მათ და დაემშვიდობება, მომავლის გზას დაულოცავს, ხოლო მათ სახელებსა და სახეებს კი სამუდამოდ დაიმახსოვრებს და ხშირად გაიხსენებს.

მერე სექტემბერიც მოვა და ნინო ბაბუციძე პირველკლასელთა ახალ წევრებს ჩაიბარებს, ახლა მათ ასწავლის ანაბანას, სამშობლოს სიყვარულს, მათ ჩაუნერგავს სიკეთეს და შრომისმოყვარეობას, მათ უწილადებს უმურველად სითბოს და სიყვარულს, თვად რომ ასე უხვად აქვს მომადლებული. მერე იმთავც დამეშვიდობება, მერე ისევ მოვა სექტემბერი და ასე იქნება კიდევ მრავალი წელი...

სტუდია „სახელად „ჩე-მი“

პროკლური სტუდია „ჩე-მი“ 2002 წელს შეიქმნა ძალაძე რუსთაველი. სტუდიის ხელმძღვანელია ინგა პარიჭავაძე, კლასიკური ცისანა რეჟისორი. მიუხედავად იმისა, რომ „ჩე-მი“ ერთი წლის არც კია, მისმა წევრებმა უკვე მოასწრეს და ასახელეს მშობლიური სტუდია.

სალომე პარიჭავაძე 8 წლისაა, სიმღერა კი წლინახევრისამ დაიწყო. სამი წლის იყო, როცა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის სატელევიზიო კონკურს „თაღბლისში“ შუბერტის „აუე მარია“ იმღერა და პირველი ადგილი დაიმსახურა. სალომემ ზედმეტად სამჯერ მიიღო საერთაშორისო კონკურს-ფესტივალ „ეარის“ უმაღლესი ჯილდო, გარდა ამისა, იგი 2001-2002 წ. I და II რესპუბლიკური კვირეულის „ჩემი ლამაზი ქვეყნის“ ლაურეატი, ამასთან სალომემ კიდევ ერთი ჯილდო, პრინცი „კვირეულის სიმპათია“ დაიმსახურა. გაიმარჯვა 2002 წელს კომპანია „საქართველოს რადიოს“ რადიო „ფორტუნას“ მიერ გამართულ ადლუმშიც „ქართული ესტრადის მომავალი“. სალომეს კლასიკური მუსიკაც უყვარს, ყველაფერთან ერთად იგი კარგად ხატავს, სპექტაკლებშიც მონაწილეობს და კომპიუტერთანაც გაშინაურებულია. ნიჭიერი გოგონა ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიის დირექტორის საფორტეპიანო განყოფილების მესამე კლასში სწავლობს.

9 წლის მარი წინწაღვაშილი ძალზე არტისტიკულიცაა და ფანტაზიის ნიჭითაც არის დაჯილდოებული. მარის უნდა მომავალში ინგლისური შლიაგერები შეასრულოს, ოცნებით კი ყურნალისტობაზე ოცნებობს. საამისო საფუძველს კი ნიჭიერი და მუყაითი გოგონა ახლავს იმზადებს – მთელი სერიოზულობით სწავლობს ინგლისურ ენას და უკვე იმ დონეზე ფლობს მას, რომ სამივე ტურში გაიმარჯვა და მალე ფინალშიც გავა, ამ წარმატებისთვის მარის ჯილდო – ინგლისის ერთ-ერთ სპეციალურ სკოლაში 6 თვიანი სწავლა ელის.



13 წლის დავით დავითაშვილი გადაწვეტილი აქვს პროფესიონალი მომღერალი გახდეს. ჯერჯერობით კი არაჩვეულებრივი ხმის მქონე, სცენიური და შრომისმოყვარე ყმაწვილი ანსამბლის სოლისტია და წარმატებით გამოდის სცენაზე. შარშან დათო II რესპუბლიკური კვირეულის „ჩემი ლამაზი ქვეყანა“ დიპლომანტი გახდა. ძალიან უყვარს თ. თათარაშვილის და მ. სეფაშვილის სიმღერები. საიმოვნებით სწავლობს ინგლისურს.



გულნარე ტუცუნავა 9 წლისაა და ახლავს პროფესიულ მომღერლობაზე ოცნებობს, მას კიდევ ერთი ოცნება აქვს – პირადად შეხედეს თავის საყვარელ მომღერალს ლელა წურწუმიას. სტუდიაში გულიყო ყოველთვის ყურადღებით უსმენს მასწავლებელს, იმასსოვრებს და ითვალისწინებს ყველა შექმნას თუ შენიშნას. სიმღერის გარდა, ცეკვაც ძალიან უყვარს და ცურვაც. კერძობიდან კი ყველაფერს მწვადურჩევნია.

მარი სოსონაშვილი ახლა ცხრა წლისაა, სიმღერა კი 5 წლის ასაკში დაიწყო. მარი საოცრად შრომისმოყვარე და გულმოდგინე გოგონაა, გაკვეთილებზე სულ თვალბრუნებით შესცივინებს მასწავლებელს. როცა მღერის, თავი ნამდვილი მსახიობით უჭირავს. „მინდა, მაღალ მწვერვალს მივადწიო“, – ამბობს მარი, რომელსაც ძალიან, ძალიან უყვარს გოზინაყი.



5 წლის მამი ლაზაძე ახლახან მოვიდა სტუდიაში და ერთი სული აქვს, როდის გამოვა მსმენელების წინაშე. თავის პირველ კონცერტამდე დღეებს ითვლის. პატარა მეგი ძალიან ნიჭიერია და ერთნაირად კარგად მღერის და ცეკვავს და ეჭვი არ არის, რომ მისი დებიუტი წარმატებული იქნება. ცეკვა-სიმღერის გარდა, მეგის ხატვაც უყვარს. მულტფილმების ყურებაც. მას თოჯინა „ბარბის“ საკმაოდ მოზრდილი კოლექცია აქვს. კუდრაჯა მეგის, ისე როგორც ყველა მის თანატოლს, ყველაზე მეტად ტკბილეული უყვარს.



6 წლის მამ მულაძე ძალიან მოუსვენარია, სულ მოძრაობს, ცქმუტავს, ყველაფერი აინტერესებს. ხომ ასე პატარაა, მაგრამ ძალიან უყვარს კითხვა, ხატვითაც სიამოვნებით ხატავს. გემრიელი საჭმელები ძალიან უყვარს, განსაკუთრებით კი თევზი. ეკას სამომავლოდ მეტად საინტერესო, ორიგინალური პროექტი აქვს ჩაფიქრებული: „მინდა გაეხსნა კლინიკა, სადაც ექიმები ოპერაციის დროს არიებს იმღერებენ“. გოგონა თვითონაც არიების შესრულებას აპირებს.



8 წლის სალომე ლოგუა თბილი და მოსიყვარულე გოგონაა, მას ძალიან უნდა ცნობილი კომპოზიტორი და მომღერალი გახდეს. მომღერლებიდან მერაბ სეფაშვილი და თემურ თათარაშვილი მოსწონს. საჭმელებიდან შემწვარი კარტოფილი და მეგრული ხაჭაპური. და კიდევ, სალომეს ძალიან უყვარს ფეხბურთის თამაში.

ანა მარიაშვილი პირველივე გაკვეთილებზე გააოცა მასწავლებლები თავისი ხმის ძალზე თბილი, რბილი ტემბრით. ამ 13 წლის გოგონას არაჩვეულებრივი მონაცემები აქვს, იგი 4 წლიდან უკრავს და მღერის. ანას იტალიური კლასიკური მუსიკაც იტაცებს და ფოლკლორიც უყვარს. ნიჭიერ გოგონას გადაწვევტილი აქვს კონსერვატორიაში ჩააბაროს.



4. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, დადიანების ყოფილ სასახლეში სხვა უნიკალურ ექსპონატებს შორის არის იმპერატორ ნაპოლეონის ბრინჯაოს ნიღაბი, რომელიც 1833 წელს პარიზში იქნა ჩამოსხმული (მსოფლიოში სულ რამდენიმე ასეთი ნიღაბი არსებობს) როგორ, რა გზით მოხვდა იგი ზუგდიდში?

5. რა ერქვა ქვეყანას, რომელშიც ხომალდ „ანტილოპას“ დაღუპვის შემდეგ მოხვდა გულივერი?


6. ვინ იყო ტომ სოიერის უახლოესი მეგობარი?

7. იყიდება სხვადასხვა ზომის ორი საზამთრო. ერთი მეორეზე მეოთხედი ნაწილით განიერია, მაგრამ 1 1/2-ჯერ უფრო ძვირი ღირს. რომელი საზამთროს ყიდვა უფრო ხელსაყრელია?

8. ეს ნახატი საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერის დონ კრისტოფორო დი კასტელის ჩანახატების ალბომიდანაა. მასზე გამოსახული ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი). რა ღვაწლი მიუძღვის ამ ადამიანს ქართველი ხალხის წინაშე?



9. სიტყვა „ცხრა“ ქართულ ენაში ბევრის, მრავლის გაგებითაც იხმარება. სწორედ მისი ეს მნიშვნელობა იგულისხმება გამოთქმებში: ცხრა მთას იქით, ცხრა-თავა დევი, ცხრათვალა და სხვ. აგრეთვე ანდაზებში: როცა ბედი მწყალობდაო, ცხრა დიაკვანი მწყალობდაო და სხვ. კიდევ რომელი გამოთქმები და ანდაზები იცით, რომლებშიც სიტყვა „ცხრა“ ამავე გაგებით არის ნახმარი?



10. როგორ შეიძლება ნამგალა მთავრის ფიგურის ექვს ნაწილად გაყოფა მხოლოდ და მხოლოდ ორი სწორი ხაზის გასმით?

ნუგზემი თოჭმისი



მე მინდა, ჩვენთან შეხიზნულმა ყველამ გაიგოს,
 —მტრის ნაშიერსაც უბატონოდ ხმას რომ არ სცემენ,
 აი, ქვეყანა, თბილის გულს რომ ცხრა ძმა გაიყოფს
 და თუ სტუმარი შემოესწროთ ცხრავეს გასცემენ.

ოჯახს რომ ფეხზე დააყენებს ერთი დიაცი,
 ასეთს სანთლით თუ წააწყდებით, ალბათ, ნაკლებად,
 ყველა ქართველთან უძღურია ვერცხლის ტყვიაც კი,
 მოჰკლავს კი არა, თვითონ თავად გადააკვდება.

აი, ქვეყანა, რომ არ სძინავს არც დღე, არც ღამე,
 ასეთებს დღემდე ერთეულებს თუ გაუძლიათ,
 ღრუბლის ტიკიდან წვიმის ნაცვლად ღვინოს ასხამენ
 და ალავერდებს „ჩაკრულო“-თი უფალს უძღვნიან.

ამ საოცრებას თვით ღმერთსაც კი არ დაუთმობდი,
 ვფიცავ ენგურის თვალცრემლიან შხარას მთებიანს,
 ჩვენში მეგობრის შესაძენად მარილს ფუთობით
 მიირთმევენ და სიკვდილამდე დაშაქრდებიან.

შაშვი ცახცახებს მხდალივით, ჩხიკვი რას აღარ ბოდავს, ცეცხლზე დასხმული წყალი

ვით
 ნისლი ხევებში ბოდავს, ცვარი ვერცხლივით ანათებს, მზის ამოსვლამდე ბზინავს, ქარი ხევს ალიანდაგებს და აღარ უხვევს გზიდან, ასკილს ამშვენებს სინაზე,
 —გამოდერილი ყელი, პანტა შავდება მიწაზე, არყის გამომხდელს ელის. ანწლი თეფშებზე გაწყობილ შავ ხიზილალას მოჰგავს, ავადმყოფური განწყობით მაყვლის ბარდებში ბორგავს. ქამა სოკოებს კარვები ისე დაუდგამთ მწყობრში, როგორც მხედრები გარკვე-
 ვით

ბანაკდებოდნენ ომში. წვიმა ეცემა ჩიტუნებს, —სულ რაღაც ერთი პეშვი, გზააბნეული სიჩუმე დაბოდილობს ტყეში.

თქვენ, ჩანჩქერებო, ხევებო, უკან არ დასახევებო, მტრისთვის საწამლაგ-სამაბრნად

გამომვერილო ხელებო; უფსკრულში მესხთა ხმამაღლა კაცურად ჩასახველებო. თქვენ, მყინვარებო, ქედებო, ამოსაფრენო ქედებო, ვისთვის საძვლევ და საყო-რნევ, ვისთვის კი გაუხედნელნო;

მანდ, სიახლოვეს მამყოფეთ თქვე შორი-ახლო მხედველნო.

საქრუანტელო „ჩაკრულო“ უფლის ღოცვისთვის გაკრულო, იქნებ ნათქვამის სათქმელად ჩამობრძანებას ნატრულობ; იქაც იყავი, აქეთაც „ქართული ხმების“ ნათლულო.

შენ, მთამყვირალა „ლილეო“, უშბა რას ჩამოჰკიდევო, შენს ხმაში მების ქუხილი ვინ გთხოვა გაამხილეო; ასეთები ხართ წუხილში ერთურთის გადაძვილეო.

ატყდა ფოთოლთა მხურვალე ტაში,

ხეებმა იწყეს გუნდების სროლა, გაუთხოვარი ზამთარი მარტში განათხულს უნდა გამოჰყვეს ცოლად.

ღვევი, ორბეთი და პანტიანი თავს ხრის დიდგორის ველის წინაშე,

თითო ოჯახი ცხრა ბანტიანი, ბიჭებს დაზრდიან მტრების ჯინაზე.

ზამთრის ბალებში ზაფხულს ვხედავ,

გადაყვავილდა თითქოს მიწდორი,

ერთი, ახედეთ, რა გაუხედნავ თეთრი ცხენივით მოსჩანს დიდგორი.



ქილავ ბავრს დააფრთიანავს

ჩვენი სკოლა

ქალბატონი თამილა ცირეკიძე 30 წელია თბილისის 62-ე სკოლაში მუშაობს, დაწყებითი კლასების მასწავლებელია. ბავშვობაშიც და ყმაწვილქალობაშიც მსახიობობაზე ოცნებობდა, მაგრამ მშობლებს არ უნდოდათ, რომ თეატრალურზე ჩაებარებინა და მათი სიტყვის წინააღმდეგ ვერ წავიდა. თავად ექიმებს, მათ ალბათ, უნდოდათ, რომ ქალიშვილი მათ კვალს გაჰყოლოდა, მაგრამ მან მასწავლებლობა არჩია და დღესაც მადლობას სწირავს ღმერთს, რომ ჭეშმარიტი მოწოდება აპოვნინა. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის და-

მსხმელი იყო და თბილისში ცოლ-შვილის საბერძნეთში წასაყვანად ჩამოვიდა, სამი დღის შემდეგ კი ეს ტრაგედია დატრიალდა).

თამილა მასწავლებელი დღესაც ჩვეული ერთგულებით და სიყვარულით ემსახურება თავის საქმეს, იგი მარტო ცოდნას კი არ აძლევს თავის მოსწავლეებს, არამედ სიყვარულსა და სიკეთესაც უწერავს, ჭეშმარიტ ქრისტიანებად ზრდის მათ. თამილა მასწავლებელი და მისი მოსწავლეები ხშირად დადიან წმინდა ადგილებში – ჯვარზე, მამა დავითზე, სვეტიცხოველში, სამთავროში, ესწრებიან მცხე-

ბოლო დროს ჩვენს სკოლაში ძალიან მოძრაობდა უცხოური ტერმინები, რომლებიც უცხოელ-გზნებულებშიც ხშირად გვხვდება და რაითი და ტკოვგადაცემებშიც. მათი დიდი ნაწილი ახალი შემოსულობა ხმარებაში და ადრე გამოცემული უცხო სიტყვათა სკოლაშიც კი არ არის შეტანილი. ალბათ თქვენ დაახლოებით კი ხვდებით მათ მიმხედვლობას, მაგრამ არსს ბოლომდე ვერ წვდებით. ყოველივე ამის გამო გადაწყვიტეთ განვიხილოთ ზოგიერთი ტერმინი.



მთავრების შემდეგ, თავის მშობლიურ, თბილისის 62-ე სკოლაში დაიწყო მუშაობა. მაშინ ამ სკოლის დირექტორი შესანიშნავი ადამიანი და ხელმძღვანელი ბატონი გრიშა ონიანი გახლდათ, მან სიხარულით მიიღო ახალგაზრდა სპეციალისტი, გაამხნევა, დააკვლიანა. ქალბატონ თამილას დღესაც ახსოვს თავისი პირველი გაკვეთილი, როცა დეკრეტულ შეგებულებაში გასული მასწავლებლის ნაცვლად შევიდა მეოთხე კლასში. თუმცა სტუდენტობის წლებში სკოლაში პრაქტიკის დროს გაკვეთილების ჩატარების გარკვეული გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ მაინც დედავდა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

თობის დღესასწაულს. კლასში ხატების კუთხე აქვთ, სადაც ბავშვები ლოცულობენ და სანთლებს ანთებენ.

ბევრმა თაობამ გაიარა თამილა მასწავლებლის ხელში ამ 30 წლის განმავლობაში. როგორც თავად ამბობს, ახლანდელი თაობის ბავშვები უდაოდ ძალზე ნიჭიერები არიან, თუმცა ამავე დროს ისინი ძალზე ცელქები, თავისუფლებას მიჩვეულები და ერთგვარად შეუსმენლებიც არიან. მაგრამ თამილა მასწავლებლის ხელში მოხვედრილები, ყველაფერთან ერთად წესრიგსაც ეჩვევიან. სულ პატარებს, 6-7 წლისებს იბარებს თამილა მასწავლებელი გოგო-ბიჭებს და ოთხი წლის განმავლობაში უძღვება ოჯახში დაწყებული მათი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს. მერე კი ერთგვარად გულდასწვეტილი ემშვიდობება მათ, მაგრამ ყოველი ოთხი წლის შემდეგ მას პატარების ახალ ნაკადთან უწევს შეხედრა და ამ შეხედრის სიხარული აქარწყლებს განშორების სევდას. იზრდებიან თამილა ცირეკიძის ნაშრომები, ვითარდებიან, ცხოვრების დიდ გზაზე გამოდიან, საგზლად კი თან მიაქვთ მის მიერ მათთვის უშურველად გაღებული სიბოლო, სიყვარული და არც ერთ მათგანს არასდროს არ ავიწყდება პირველი მასწავლებელი.

ბრიფინგი – (ინგ. briefing – სიტყვა სიტყვით ინსტრუქტაჟი) – პრესის, ტელევიზიის და რადიოს წარმომადგენელთა ხანმოკლე თათბირი, რომელზეც მათ აცნობენ მთავრობის პოზიციას გარკვეულ საკითხზე ან ინფორმაციას საერთაშორისო მოლაპარაკებათა მიმდინარეობის, მხარეთა შეხედულებების შესახებ. და ა.შ.

სპონსორი (sponsor): 1. თავმდები; 2. პირი, რომელიც აფინანსებს რაიმე ღონისძიებებს, ორგანიზაციებს და სხვ. ფირმა, რომელიც რეკლამის მიზნით უკვეთავს რადიო თუ ტელეპროგრამას; 3. მომწოდებელი, ორგანიზატორი, ინიციატორი; 4. რეზოლუციის პროექტის ავტორი; 5. ნათლია.

ნონსენსი (ინგ. nonsense, ლათ. non – არა და sensus – აზრი) – უაზრობა, შეუთავსებლობა.

კონსენსუსი (ლათ. consensus – თანხმობა. ერთსულოვნება) – საერთაშორისო კონფერენციებსა თუ თათბირებზე მონაწილეთა მიერ ფორმალური კენჭისყრის ჩაუტარებლად მიღებული გადაწყვეტილება ან შეთანხმება.

ინვესტიცია (გერ. investition, ლათ. investio – ვაცემე), კაპიტალის ხანგრძლივი ვადით დაბანდება) ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ეკონომიკის დარგებში.

კორუფცია (ლათ. corruptio – მოსყიდვა) – თანამდებობის პირის მიერ მის თანამდებობასთან დაკავშირებული უფლებების გამოყენება პირადი გამდიდრების მიზნით.

თამილა ბავილიანი

კითხვა-თქვენი

მარგალიტი მოლუსკის ნიჟარაში ჩნდება

მინტაქმას რაგორ წარმოიშობა ნიჟარაში მარგალიტი? რაგორ სდება ეს? *ელენე გოღერაძიშვილი, 14 წლის*

მარგალიტი განსაკუთრებული ტიპის მოლუსკების ნიჟარებში იქმნება, ეს ის მოლუსკებია, რომლებიც მიდიებთან უფრო ახლოდგას, ვიდრე ჩვეულებრივ საჭმელ ხამანწებთან. მარგალიტები მოლუსკის სხეულში უცხო ნაწილაკს, მაგალითად, ქვიშის მარცვლის მოხვედრის შედეგად წარმოიქმნება. იმისათვის, რომ გაღიზიანება შეამციროს, მოლუსკი პერლამუტრს გამოყოფს და უცხო სხეულს გარშემო ფენა-ფენა აფენს მას. ყველაზე ძვირფასი მარგალიტი ცეილონის მახლობლად და სპარსეთის ყურეში მოიძევა მოლუსკების სხეულში. მიაჩნიათ, რომ ამ მარგალიტების ბირთვის ბრტყელი ჭიების კვერცხები წარმოადგენს.

ბრიგალაზს ქალის სახელაზს არქმევენ

რატომ არქმევენ ბრიგალაზს ქალის სახელაზს და საერთოდ, რა აუცილებელია, რომ ბრიგალს საკუთარი სახელი ჰქონდეს?

ბივი ბერსამია, 13 წლის

გრიგალს ქალის სახელი პირველად მწერალ ჯორჯ სტიუარტის რომანის „შტორმის“ გმირმა დაარქვა (წიგნი 1941 წელს გამოიცა). მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ს სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალთა სინოპტიკოსებმა, რომლებიც წყნარი ოკეანის სივრცეებში შტორმებს ადვენებდნენ თვალს, პრაქტიკაში შემოიღეს გრიგალებისთვის სახელების დარქმევა. მანამდე, რამდენიმე საუკუნით ადრე, ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე ამოვარდნილ გრიგალებს იმ წმინდანების სახელი ერქვა, რომლის სა-

ხელობის დღესაც ემთხვეოდა გრიგალის ტყუილი ბოქრობა. მაგალითად 1825 წლის 26 ივლისს პუერტო-რიკოს თავს დატყუებულმა გრიგალმა „სანტა ანას“ (წმინდა ანას) სახელი მიიღო, ხოლო ამავე ქვეყანაში 1876 წ. 13 სექტემბერს ამოვარდნილ გრიგალს „სან ფელიპე“ უწოდეს.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ სახელების ხმა-რება ადრე გრიგალის კოორდინატების მითითებაზე დამყარებულ მეთოდებზე ბევრად მოხერხებულა. მალე და ადვილად დასამახსოვრებელი სახელების გამოყენება მკვეთრად ამცირებს ინფორმაციის გადაცემის შესაძლო შეცდომების რაოდენობას. სახელწოდებები მოკლე, ადვილად წარმოსათქმელი, ადვილად ამოსაცნობი და დასამახსოვრებელი უნდა იყოს. ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, აშშ-ს ამინდის ბიურომ უამრავი წინადადება განიხილა. ზოგი გრიგალების ციფრებით აღნიშვნას სთავაზობდა, ზოგი ინგლისური თუ ბერძნული ანბანის ასოებით, მამაკაცის სახელებით, ცხოველთა სახელწოდებებით და ა.შ. საბოლოოდ 1960 წელს დამტკიცდა ქალის სახელების ოთხი წყება, 1971 წ. ისინი ათწლიანი სიებით შეიცვალა. თითოეული წლისთვის ათწლეულში სახელთა ცალკე წყება გამოიყენება. ასოები Q, U, X, I, Z გამოირიცხა, რადგანაც ამ ასოებზე ძალზე ცოტა სახელი თუ იწყება.

ზღვას მზე ალურჯაზს

რატომ არის ზღვა ლურჯი? *კონა ტლუვაძე, 10 წლის*

ზღვაც იმიტომ არის ლურჯი ფერის, რატომაც ცა, სახელდობრ კი მზის სინათლის მოლეკულური განბნევის გამო. მოკლელა-ლიანი სინათლის გამოსხივება, რომელიც სპექტრის ლურჯ მონაკვეთს შეესაბამება, უკეთესად განიბნევა მოლეკულებზე, ვიდრე გრძელელა-ლიანი სინათლისა.

პასუხი-ჩვენი



იქი, რას ნიშნავს შენი სახელი?

ზაჲის სახელები

ჲადის სახელები

იოჲალი - (ძველებრაულ) „უფალი“, „ღმერთი“.
იოთამ - (ძვ. ებრ.) „წმინდა არს ღმერთი“
იორამ - (ძვ. ებრ.) „ღმერთი მაღალია“
იოსებ - (ძვ. ებრ.) - „გამრავლება“, „მატება“,
 სიტყვასიტყვით: „ის გამრავლებს“. ამ სახელის
 კნინობითი ფორმებია: სოსო, სოსია, ოსიყო.
ირაკლი - (ბერძ.) „ჰერას დიდება“ (ბერძ.
 მით-ში ჰერა ზევსის მეუღლეა).
იულონ - (ლათ.) ივლისისა
კაცია - ქართული სახელია.
კახა, კახი - ქართული სახელია. კახა-სგან
 არის ნაწარმოები სახელი კახაბერი.
კვირია - ქართული სახელია და კვირას დაბა-
 დებულს ნიშნავს.
კიბა - ქართული სახელია.
კობა - ქართული სახელია და იაკობის შემო-
 კლებულ ფორმად იფვლება.
კოკი - ქართული სახელია.
კონსტანტინე - (ლათ.) „მედგარისა“, „მტკი-
 ცესი“.
კოტე, კოსტა, კოწია - ამ სახელის შემო-
 კლებული ფორმებია.
კოსტა - ქართული სახელია.
კუკური - ქართული სახელია
ლუზარე - (ძვ. ებრ.) „ღვთის წყალობა“.
ლუმა - ქართული სახელია და ნიშნავს „ნა-
 თელს“, „შუქს“.
ლუმან - ლათინური ლეონის ქართული ფო-
 რმია. ლეონი ლათინურად „ლომს“ ნიშნავს.
ლუარსაბი (სპარ.) - „ქურანა ცხენზე მჯდომი“.
მათე - (ძვ. ებრ.) - „ღვთის კაცი“, „ღვთის
 ნაჩუქარი“.
მალზაზ - ქართული სახელია და ცქვიტს, კო-
 ხტას ნიშნავს.
მამია, მამნე, მამამუმი, მამუკა - ქართული
 სახელებია.
მმრამ - (სპ.) „მზესავით ელვარე“.
მუმჷაბუმი - ქართული სახელია.
მინდია - ქართული სახელია.
მირზა - (სპ.) „უფლისწული“.
მირიან - (სპ.) „მზისა“.

მზინა, მთვარისა - ქართული სახე-
 ლებია.
ნაზი, ნაზიბროლა - ქართული სახე-
 ლებია.
ნათელა - ქართული სახელია, მისი პა-
 რალელური ფორმაა ნათია.
ნანა - (ბერძ.) „პაწაწინა“.
ნანი, ნანუკა, ნანული - ქართული სა-
 ხელებია.
ნატალია - (ლათ.) „ბუნებრივი“, „მშო-
 ბლიური“. ამ სახელის შემოკლებული ფო-
 რმია ნატო.
ნელი - ელენეს მოფერებითი ფორმაა და
 ნასესხებია ევროპული ენებიდან.
ნესტან-ღარეჯანი - (სპ.) „სწორუპო-
 ვარი“.
ნონა - ეგვიპტური სახელია და ნიშნავს
 „ღვთისადმი მიძღვნილს“.
ნუგუმა, ნუნუ, ნუმო - ქართული სა-
 ხელებია.
პირიმუმი, პირიმუნისა, კაკალა - ქა-
 რთული სახელებია.
ჲუჲუნა - ქართული სახელია.
რუსულან - (სპ.) „დღიანი“, „დღევრძელი“.
საბელა, სამიჲარი, სანათა - ქართული
 სახელებია.
სალომი - (ძვ. ებრ.) - „მშვიდობა“.
სოვიო - (ბერძ.) - „სიბრძნე“.
ჲიჲრია - (არაბ.) - „ფიქრი“.
ჲითუმან - (სპ.) მნიშვნელობა - უცნო-
 ბია.
ჲრისტინე - (ბერძ.) „ჲრისტესი“, „ჲრი-
 სტიანი“.
ღაღანა - ქართული სახელია, ნიშნავს
 „მოელვარეს“, „ხასხასას“.
ჲამარ - (არაბ.) „მოვარე“.
ჲორმანა - ქართული სახელია
ცაბო, ცარო, ცაცა - ქართული სახე-
 ლებია.



ბექა ქურხული, ბაღდადის №2 საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეა, იგი კლასიდან კლასში კი განსაკუთრებული ნიჭიერების გამო „გადაახტუნეს“. თუმცა ბექას ყველაზე მეტად მათემატიკა უყვარს, იგი ლიტერატურაშიც არის გატაცებული და თვითონ წერს ლექსებს. ჩვენ ერთხელ უკვე გამოვაქვეყნეთ ბექას ლექსი, ამჯერათ ვთავაზობთ ახალ ლექსს.

საქართველს იცნობდეს!

თუ მეგობარს წრფელი გულით
არ გაუღებ სახლის კარს,
ვერ იყიდი შენ მას ფულით,
გვერდით არვინ გაგიკარს.

მეზობელიც მუდამ გწადდეს
და მიენდე ახლობელს,
კაცი თუ ხარ, მარად გწამდეს,
ყველა დაგიახლოვებს.

მარტოხელა გიგლა ბაბუს
ჩვენთან ყოფნა იზიდავს,
და ყოველდღე საიდანღაც
მანდარინებს მიზიდავს.

შრომაც უყვარს, გარჯაც უყვარს,
არ აშინებს ავდარი,
მეგობარიც ხომ ბევრი ჰყავს:
ბონდო, რეზო, ნოდარი..

უსაზღვროდ აქვს ღონე, ძალა,
მეგობრობს ჩემს ბაბუსთან,
თუმც მათ სევდა მოეძალათ...
დამძობილდნენ ბახუსთან.

მერი ბებოც აქვე ცხოვრობს,
ღობის გაღმა-მეზობლად,
გიორგის კი, მის შვილიშვილს,
მივიჩნევ ჩემს მეგობრად.

იგი ოდნავ უფროსია,
მაგრამ ჩემთან ძმაკაცობს,
ბებიგოს კი ეხმარება,
თუმცა ცოტას ზარმაცობს.

ამ ბოლო დროს რაცხას და-
რდობს,
ვითომ ჰქონდეს რამ ვალი,
ერთი გოგო შეუყვარდა,
განა ჩემებრ მრავალი.

ახლოს ცხოვრობს, რეზო ჰქვია
ჩემს დედიგოს ნათლიას,
ამ ალალ კაცს ჩემი ბაბუს
ძალზე დიდი ხათრი აქვს.

როგორც სხვები ისიც ებრძვის
ბედის მავნე მარწუნებს,
რომ შეხედავ, გოლიათს ჰგავს,
თუმც თვალეები აწუნებს.

კაცი არის ვაჟკაცური,
გამრჯე, შრომით ქებული,
ორ ქალიშვილს უზრდის მამულს,
მათზე გადაგებული.

ყველას გვსურს, რომ განიყუ-
რნოს,
ალარ იავადმყოფოს,

ღმერთმა მისი ცოლ-შვილი კი
მარად კარგად უმყოფოს.

ამგვარ ოჯახს ბევრს შეხვდები
ჩემს პატარა ბაღდადში,
ერთ ლექსში მათ როგორ ჩა-
ვტევე
ნუ დამძრახავთ ამაში.

მათ შესახებ სხვა სტრიქონით
უსათუოდ მოვითხრობთ,
ასეთ შრომას და ასეთ მრწამსს
ყველასაგან მოვითხოვ!

იმას ვნატრობ, რომ მარადეამს
ყველამ მათ გზით იაროს,
და ცხოვრების ჭირ-ვარამი
ძმურად გაიზიარონ.

გულით მინდა, ქვეყანაზე
ყველა მათებრ იღწვოდეს,
და ჩემს ლექსით ამ კეთილ ხა-
ლხს
საქართველო იცნობდეს!!!



გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!!!

ური გელერის ამბავი მართლაც ძნელად დასაჯერებელია. აბა რა იქნება, როცა მას შეუძლია თვითმფრინავით ფრენისას თითქმის შეუცდომლად მიუთითოს სად ოქრო მოიპოვება, სად ალმასები, ნავთობი თუ ქვანახშირი... შეუძლია გააჩეროს საოკეანო ლაინერი, ჩაერიოს ცნობილი საათის ბივ-ბენის მუშაობის რიტმში... ვინ არის ეს ური გელერი - თანამედროვე ბარონი მიუნჰაუზენი, დიდი მეფოყუსე, სუპერმენი თუ მომავლის ადამიანი? მოდით, თავად ურის წიგნის ნაწევრები წავიკითხოთ და იქნებ მაშინ შევძლოთ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა. მაშ, ასე - ვთავაზობთ ნაწევრს ური გელერის წიგნიდან „ჩემი ისტორია“.

ძალიან კარგად მესმის, რომ მკითხველს მართლაც ძალიან გაუჭირდება იმის დაჯერება, რასაც მე ვიამბობთ, მანამ ვიდრე საკუთარ თავზე არ გამოცდის ამას. ზოგჯერ მე უბრალოდ მავიწყდება, რომ ბევრისათვის ჩემი სიტყვები უცნაურად და დაუჯერებლად ჟღერს, თვითონ კი დიდი ხანია შევეჩვიე იმას, რაც მემართება. ლაპარაკია ფენომენზე, და ჩემთვის ეს უდავოა. ამიტომ მიმაჩნია, რომ აუცილებელია მისი დაწვრილებით აღწერა მეცნიერული თვალსაზრისით უპეცრესი კონტროლის პირობებში, როცა ყოველგვარი ფოკუსი გამოირიცხება: საჭიროა იმის დამტკიცება, რომ თითოეულ ადამიანში ჩადებულია ძლიერი ენერჯია, რომელსაც შეუძლია ჩვენს გარეთ არსებულ ენერჯიასთან ურთიერთქმედება. ხოლო ჩვენ ეს ენერჯიები უბრალოდ ჯერ არ შეგვიცნია. ადამიანები აუცილებლად უნდა გაერკვნენ ამაში. კარგა ხანს მე თვითონაც ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ჩემი ნიჭის, უნარის ბუნების შესახებ. თუმცა, ამ წიგნს რომ ვწერდი, მტკიცედ ვიცოდი, რომ ჩემი უჩვეულო უნარის სათავე უთუოდ რაღაცა ფანტასტიკურ გონებასთან არის დაკავშირებული.

ჩემში უჩვეულო ენერჯეტიკული ძალების არსებობა ბავშვობაში ვიგრძენი. ხანდახან კი-

ნოსავით უკან დავაბრუნებ ხოლმე საკუთარ ცხოვრებას და ჩემს ბავშვობას ვხედავ. ჩვეულებრივ, პირველი და ერთადერთი ყველაზე საუკეთესო კადრი, რომელიც მახსენდება, არაბული ბა-



ღია ჩვენი სახლის სიახლოვეს თელ-ავივში. მშვენიერი ტოტებგამლილი ხეები, მაღალი ლითონის ღობე და მომცრო ტბა ძველი სახლის გვერდით, კარგა ხნის გაუკრეჭავი ბალახი ბაღში. მე ამ დროს სამი თუ ოთხი წლისა ვარ. ბაღის ზოგი კუთხე ჩაბნელებულია, იმიტომ რომ დიდი ხეები სინათლეს არ ატარებენ. მე იქ ჩემს თავს ვხედავ, ანაზღად თითქოს ამ დაჩრდილული ბაღიდან ბნელი, ღრმა სამყარო ამოიზრდებოდ და მე ამ სამყაროში ვმოძრაობ, ჩემ თვა-

ლწინ ვარსკვლავთა მირიადები, ირმის ნახტომია. ირგვლივ კი უცნაური ხმები და ხასხასა ფერება. ისევ ჩემს ბავშვობაში ვბრუნდები. ვხედავ ჩემს საყვარელ ძაღლს, მშობლებს, სკოლას. ვხედავ, როგორ ვთამაშობ რაღაც იდუმალ, მხოლოდ ჩემთვის ცნობილ თამაშებს. ერთი პაწაწინა ფოთოლი ჩემს წარმოსახვაში უზარმაზარ ხედ იქცევა, ბალახი კი - ზღაპრულ ტყედ. ხოლო ყვავილები აქ უზარმაზარია, ამიტომაც მე ვგონებ, თითქოს ეს რაღაც სხვა პლანეტის უჩვეულო ხეებია.

ერთხელ ძალიან უცნაური რამ დამემართა. კარგად მესმის, რომ ის, რასაც ახლა აღვწერ, უძრავლესობას პატარა, ოთხი წლის ბიჭუნას ფანტაზიად, ალისას ზღაპრის ფრაგმენტად მოეჩვენება. მიუხედავად ამისა, ეს სიმართლეა. დიახ, მე მართლაც ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ ჩემმა მეხსიერებამ იმ შემთხვევის უმცირესი დეტალები შემოინახა. ცხადია, მაშინ მე ვერ ვაცნობიერებდი, მაინც რა შემემთხვა. უბრალოდ იძულებული ვიყავი, ისე მიმელო ყოველივე, როგორც მოხდა, მაშინ ჩემს თავს ვერ არ ვუსვამდი იმ კითხვებს, დღეს რომ ვუსვამ. მაგრამ, ვაფიქრობ, ყოველივე ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ვინ იცის, იქნებ სწორედ აქ არის ჩემი ფენომენის საიდუმლო.

საღამოვდებოდა, თუმცა ბინდი ჯერ არ ჩამოწოლილიყო. მე მარტოდმარტო ვთამაშობდი ჩემს პატარა ბაღში, დროდადრო ჩამეძინებოდა ხოლმე, მოგეხსენებათ, პატარა ბავშვებს ხშირად ემართებათ ასეთი რამ. ანაზღად ყურებში ძალიან ძლიერი, გამკვივანი რეკვა ვიგრძენი, რომელმაც ყველა დანარჩენი ხმა ჩაახშო. ძალიან უცნაური შეგრძნება მქონდა და თითქოს დრო ერთბაშად გაჩერდაო, ხეებიც კი აღარ ინძრეოდნენ ქარზე. რაღაცამ მაიძულა ცაში ამეხედა, — ძალიან კარგად მახსოვს, — ცა ერთიანად ვერცხლისფერი შუქით იყო დაფარული. მაშინვე გამიელვა ფიქრმა: „ნეტავ მხეს რა დაემართა-მეთქი?“ აშკარად ისეთი მზე აღარ იყო, ადრე რომ ვხედავდი ხოლმე. კაშკაშა სინათლე სულ უფრო და უფრო დაბლა ეშვებოდა. ბოლოს უშუალოდ მომიახლოვდა, უეცრად ძლიერი ბიძგი ვიგრძენი და წავიქეცი, პირაღმა დავეცი. შუბლში ისეთი აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, რომ ვიფიქრე, სადაც არის თავი გამისკდება-მეთქი, იმ წამში გონება დავკარგე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიწექი ასე. ის კია, რომ როგორც კი გონზე მოვედი, წამოვხტი და უმაღლეს სიხლსკენ გავიქეცი, ყველაფერი დედას ვუამბე. დედა რატომღაც გამიჯავრდა, მე კი ინსტიქტურად ვიგრძენი, რომ მოხდა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ.

შემდგომში ბევრჯერ მიმირბენია ბაღში, იქნებ კიდევ დავინახო ის კაშკაშა ვერცხისფერი სინათლე-მეთქი, მაგრამ ამაოდ. მთელი სიცოცხლე ჩემთვის ვინახავდი ამ ფიქრებს, არავის ვუმედავებდი. დღეს კი, როცა ენერგიულ ძალებთან დაკავშირებით ქვეყნად ამდენი რამ ხდება, ხში-

რად ვფიქრობ იმ საოცარ შემთხვევაზე.

მიჭირს იმის ზუსტად თქმა, თუ პირველად როდის აღმოვაჩინე ჩემს თავში უცნაური უნარ-შესაძლებლობები.

სულ ექვსი წლის ვიყავი, როცა მამამ პირველი საათი მიყიდა. თავი მომწონდა ამ საათით. ვიჯექი გაკვეთილზე და სულ იმის მოლოდინში ვიყავი, ნეტავ შესვენების დრო როდის დადგება-მეთქი. კლასში კედლის საათი იყო. მახსოვს, ერთხელ ვზივარ კლასში და ჩემს საათს დავცქერი, რომლის მიხედვითაც, გაკვეთილი უნდა უკვე დამთავრებულიყო, მაგრამ ზარი არა და არ ირეკებოდა. მაშინ კედლის საათს ავხედე და დავინახე, რომ გაკვეთილის დამთავრებამდე მთელი ნახევარი საათი იყო დარჩენილი. რას ვიზამდი, ავდექი და ჩემი საათი ნახევარი საათით უკან გადავწიე.

მაგრამ მეორე დღეს იგივე განმეორდა — ჩემი საათი წინ წავიდა, ბევრად გაუსწრო სკოლის საათს. ავდექი და ეს ამბავი დედას ვუამბე. გადავწყვიტეთ, რომ ჩემი საათი მოიშალა და დედამ შინ დამატოვებინა იგი. დედაჩემი ყოველდღე ამოწმებდა — საათი სავსებით ნორმალურად მუშაობდა, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე კვირა და მალე მე ისევ გავიკეთე მაჯაზე ჩემი საათი. ძალიან მინდოდა ის მომენტი დამეჭირა, როდის დაიწყებდა მისი ისრები უჩვეულოდ მოძრაობას. იმ დღეს საათი მოვიხსენი, წინ დავიდე და ყურადღებით დავაკვირდი. ცხადია, ცოტა ხანში სულ დამავიწყდა, რომ თვალი უნდა მედევნებინა, მერე შემთხვევით დავხედე და შევამჩნიე, რომ ისრები სულ

უფრო გამაღებით ტრიალებდა, გვერდობდათ საათი გადაირიდაო, მასწავლებელს დავუძახე: შეხედეთ, ჩემს საათს შეხედეთ-მეთქი და საათი მალე ავწიე, ყველას რომ დაენახა, მაგრამ კლასმა სიცილი დამაყარა. გამოხდა დრო და კიდევ ერთი უცნაური ამბავი გადამხდა თავს. ერთხელ კლასში ვსხედვართ და ჩემ გვერდით მჯდომი ამხანაგი მეუბნება: „ვაი, ბიჭო, ნახე, ჩემი საათი ერთი საათით წინ წასულა!“ ჩემთვის მოულოდნელად, ამხანაგს მივუბრუნდი და ვეუბნები: „ეს მე გავაკეთე“. ამხანაგი შემეკამათა, ყოვლად შეუძლებელიაო და მაშინ ვთხოვე საათი მოეხსნა. დამთანხმდა. ავიღე მისი საათი, ციფერბლატს დავხედე და წარმოვთქვი: „იმოდრავეთ“.

როგორც კი ორჯერ თუ სამჯერ გავიმეორე ეს სიტყვები, საათის ისრები კიდევ რამდენიმე დანაყოფით წინ გადახტნენ. კლასი ახმაურდა, ყველა გაიძახოდა, ეს მსოფლიოში ყველაზე საოცარი ფოკუსიაო. გაემხიარულდი, მაგრამ მალე ისეთ რამეს გადავაწყდი, რასაც შემდგომში მთელი სიცოცხლე ვაწყდებოდი. ყველა დრწმუნებული იყო, რომ ეს მხოლოდ მარჯვე ფოკუსია და სხვა არაფერი, ვერაფრით ვერ დავამტკიცე, რომ არ ვიტყუებოდი.

უცნაური ენერგეტიკული ძალები მაშინაც იჩენდნენ თავს, როცა მე, დედაჩემი და ჩემი მამინაცვალი კვიპროსზე გადავსახლდით. მაგრამ მე ამ ძალებს არაფერში ვიყენებდი და მოყოლითაც არავის ვუყვებოდი მათ შესახებ, იმიტომ, რომ კარგად



მანსოვდა, როგორ დამცინოდნენ თელავივში. უნდა გამოვტყდე, რომ დროდადრო სწავლაში პრობლემები მიჩნდებოდა. ცუდი მოსწავლე არ ვყოფილვარ, მაგრამ არც კარგი მეტქმოლა.

ერთხელ მათემატიკის საკონტროლოზე გიუნტერს კეფაში მივაშტერდი, გიუნტერი ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე იყო კლასში, და უეცრად ჩემს შინაგან გონებრივ ეკრანზე ყველა პასუხი დავინახე.

თავში თითქოს თავისთავად გამიჩნდა ტელეეკრანი და გარკვევით დავინახე გიუნტერის ყველა პასუხი.

ცხადია, გადავწყვიტე მესარგებლა ხოლმე ამით. ამოვირჩევდი ყველაზე ჭკვიან თანაკლასელს, მთელ ჩემს ყურადღებას მის კეფაზე მოუყრიდი თავს და საჭირო პასუხებსა და ამოხსნებს ვღებულობდი, რა თქმა უნდა, ამასთან ისეთივე შეცდომებს ვუშვებდი, როგორსაც ისინი.

მასწავლებლებმა იფიქრეს, სხვებისგან იწერსო. ვცადე, დამერწუნებინა, რომ არავისგან არ ვიწერდი, მართლა ხომ ასე იყო. რა თქმა უნდა, არ მიჯერებდნენ. გამოცდებზე ცალკე მაგიდასთან დამსვეს, ოთახის შორეულ კუთხეში, საიდანაც სხვა მოსწავლეების რვეულებს ნამდვილად ვერ დავინახავდი. გარდა ამისა, მასწავლებლები თვალს არ მაცილებდნენ, პერსონალურად მიცავდნენ, თავზე მადგნენ.

ჩემთვის კი სულ ერთი იყო, ისევ მივაშტერდი კლასის საუკეთესო მოსწავლეს და ყველა მისი პასუხი დავინახე. მასწავლებლები გადაირივნენ... გაოგნებულები მომჩერებოდნენ, იმიტომ, რომ სწორ პასუხებსაც ვწერდი და მცდარსაც. არ იცო-

დნენ, რა მოეხერხებინათ, მე კი ვერ ვბედავდი, მეტქვა, რაც მჭირდა...

დიდხანს ვფიქრობდი, აქვს თუ არა აზრი ამ ეპიზოდის მოყოლას. როგორც არ უნდა ვეცადო, ამ ამბავს მაინც დაჰკრავს სამეცნიერო ფანტასტიკის ელფერი. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. დროც და ადგილიც უტყუარად ნამდვილია. უბედურება მხოლოდ მომხდარის ფიზიკურ შეუძლებლობაშია. ფიზიკის კანონები იმ სახით, რომლითაც ჩვენ მათ ვიცნობთ, ვერ ხსნის ამ ამბებს უბრალო დროისა და სივრცის თვალსაზრისით, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე, ვიდრე არსებობენ თვითმხილველები, რომლებმაც იციან სიმართლე და რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ იგი, ყველაფერი დაწვრილებით შეამხნა.

მაშ ასე, პარასკევს 1973 წლის 9 ნოემბერს, დაახლოებით 16 საათზე გამოვედი ბინიდან, რომელსაც მანჰეტენში ისტ-საიდზე ვქირაობდი. ჩემი მეგობრისათვის დოქტორ ლუის შენემანისათვის ბინოვლი უნდა მეყიდა. საკმაოდ მალე მივაგენი ბინოვლს, რომელიც მომეწონა, ვიყიდე იგი და მარია და ბაირონ ხანისებთან წამოვედი, რომლებიც იქვე, მეზობლად ცხოვრობდნენ. მარიას თავისი სახელოსნო აქვს სახლის სარდაფში და ის და ჩემი საუკეთესო მეგობარი შიპი შტრაზი ამ სახელოსნოში მარიას სურათებს საგამოფენოდ ამზადებდნენ. სახელოსნოში დაახლოებით ხუთის ნახევარზე მივედი. ცოტა ვილაპარაკეთ და მერე მე და მარია ზემოთ ამოვედით, ბაირონი უნდა მენახა. შიპი კი სარდაფში დარჩა, სურათების ჩარჩოებში ჩასმას აგრძელებდა. მე,

მარიამ და ბაირონმა რუსთაველის ინტერესო თემაზე გავაბით დისკუსია, მაგრამ უეცრად გამახსენდა, რომ 18.30-ზე ქალიშვილთან მქონდა პაემანი დანიშნული. დათქმულ დრომდე ერთი საათილა რჩებოდა, მე კი საჩუქრის ყიდვაც უნდა მომესწრო, შინ შერბენაც, შხაპის მიღებაც და ტანზე გამოცვლაც.

მალაზიის ვიტრინებს ვათვალიერებდი, საათს დავხედე, ექვსი სრულდებოდა. ფეხს ავუჩქარე, სახლისკენ გავიქეცი, რომელიც ამ ადგილიდან დაახლოებით ერთი კვარტლით იყო დამორებული. საათი შვიდის ხუთ წუთს უჩვენებდა.

პროფესორი ანდრია პუხარიჩი ამ დროს ოსინინგში იმყოფებოდა, ნიუ-იორკის გარეუბანში, მანჰეტენიდან იქამდე დაახლოებით 30 მილი ანუ მატარებლით ან მანქანით ერთი საათის სავალია. როგორც მოგვიანებით დავადგინეთ, მაშინ ის ლოგინში წოლილა და ტელევიზორში საღამოს ახალ ამბებს უყურებდა, მალე სადგურში უნდა წასულიყო თავისი თანაშემწის სოლვეიგ კლარკის დასახვედრად, რომლის მატარებელი 19.04-ზე უნდა ჩამოსულიყო.

ე.ი. 18.05-ზე მე სახლისკენ გავიქეცი, ანდრია ოსინინგში ტელევიზორს უყურებდა. სოლვეიგი ოსინინგის მატარებელში ჯდებოდა, სადაც იგი ერთ საათში უნდა ჩამოსულიყო. იაშა და ვერნერი თავის ოფისში გველოდებოდნენ მე და შიპის. მას შემდეგ რაც შიპი სახელოსნოში მუშაობას მორჩა და წავიდა, მარია და ბაირონი შინ დარჩნენ.

ნათლად მახსოვს ის მომენტი, როცა ჩვენი სახლის მეზობელ სახლს გავუსწორდი. ანაზნად

მომეჩვენა, რომ წინ კი არ მივრბოდი, არამედ თითქოს უკან იქნებ ასე იყო. მერე კი ვიგრძენი, რომ მაღლა-მაღლა მივიწვედი. ჩემი სხეულის წონას ვეღარ ვგრძნობდი. მოულოდნელობისაგან თვალები დაეხუჭე, მაგრამ მაშინვე გავახილე და დავინახე, რომ ჰაერში ვიყავი და რომელიღაც ვერანდის ფანჯრებს ვუახლოვდებოდი, ფანჯრებს კოლოების საწინააღმდეგო ბადე ჰქონდა აკრული. შევეცადე ამ ბადე ავცდენოდი, არ შევსვლოდი, მხარი წინ წავიღე და ხელები სახეზე ავიფარე. ბადე გავვლიჯე, ოთახში შევფრინდი და სქელი მინის პატარა მრგვალ მაგიდაზე დავენარცხე. მაგიდა გადაყრავდა, მე კი ვერანდის იატაკზე აღმოვჩნდი. გონება არ დამიკარგავს, მაგრამ ბუნებრივია, გაოგნებული ვიყავი. ფეხი მტკიოდა. მაგრამ ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ ანდრიას ვერანდაზე ვიმყოფებოდი, ოსინინგში. სულ რაღაც წამის წინ მანკეტენში ვიყავი, თვალის დახამხამებაში კი აქ აღმოვჩნდი. ვერაფერს ვგრძნობდი, დარტყმით მოყენებული ტკივილის გარდა. რაც ძალი და ღონე მქონდა, ვიყვირე, ანდრიას ვეძახდი. მაგრამ თავიდან არავინ გამომპასუხებია. მახსოვს, რომ მციოდა და საშინლად მწყუროდა. მოგვიანებით ანდრიამ ჩემი მონათხრობი შეავსო. მან ახალი ამბების გამოშვების დაახლოებით ნახევრის ნახვა მოასწრო. საღდაც 18.15-ზე გაურკვეველი ხმაური და დარტყმის ხმა გაიგონა, თითქოს სახლს რაღაც დაეცაო. მაშინვე წამოხტა ლოგინიდან, სამივე საერთულის ყველა ოთახი შემოირბინა, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. მერე ვერანდის კარს მი-

უახლოვდა, შუქი აანთო და გაცეცხულმა მე დამინახა, მაგიდისა და მინის ნამტვრევებში ვიწექი. ფანჯრის ბადეში უზარმაზარი ნახვრეტი იყო. ანდრია განსაკუთრებით გაუოცებია იმ ამბავს, რომ ხელში რაღაც კოლოფი მეჭირა, რომელშიც ბინოკლი აღმოჩნდა.

როგორც გახსოვთ, მარია ჯანისი თავის ბინაში იყო ნიუ-იორკში, საღდაც 18.15-ზე ანდრიას დაურეკა, ანდრიამ ყურმილი აიღო, მაგრამ ვერ ელაპარაკე იმიტომ, რომ შოკში იყო. გაუგებრად წაილულულა, აქ ახლა ერთი მეგობარი ზის და შენთან ლაპარაკი უნდაო, ყურმილი გადმომცა და მე წარმოვთქვი: „მე აქა ვარ“. ახლა უკვე მარია ჩავარდა შოკში. ერთი საათიც არ იყო გასული, რაც მან ნიუ-იორკში მნახა, მე ხომ 17.30-ზე გამოვედი მისი ბინიდან. მარიას ვუთხარი, თვითონ ვერ გამიგია, როგორ აღმოვჩნდი ოსინინგში-მეთქი. მერე ცოტათი გონზე მოსულმა ანდრიამ ჩამომართვა ყურმილი და დაწვრილებით აუწერა მარიას, როგორ და რა მდგომარეობაში მნახა თავის ვერანდაზე. თუმცა კვლავ სუსტად ვგრძნობდი თავს, მაინც მოვიკრიბე ძალა და იაშას და ვერნერს დავურეკე. მოგვიანებით მათ მითხრეს, ხმა უჩვეულოდ გითრთოდაო. საათი ამ დროს 18.20 უჩვენებდა. შიპი ჯერ არ იყო მარიას სახელოსნოდან მოსული. იაშას ვუთხარი, მინდა, ყველაფერი კარგად დაიმახსოვროთ, რა და როდის მოხდა, მე კი ცოტა აზრზე მოვალ და დაგირეკავ-მეთქი.

შიპი მაშინვე მისულა ოფისში. იაშა და ვერნერი შეშინებულიები და აღელვებულები დახვედრიან. როცა ჩემზე უთქვამთ, ეს წუთია ოსინინგიდან დაგვირეკაო, არ და-

უჯერებია, ყოვლად შეუძლებელია...
 ეს ყველაზე დრამატული ფენომენი იყო, რაც კი მე ოდესმე გადამხდენია. სრულიად აშკარა იყო, რომ ვერანაირი ტრანსპორტი ვერ ჩამიყვანდა ხუთ წუთში მანკეტენიდან ნიუ-იორკში ანდრიას სახლამდე. სულ ვეკითხებოდი ჩემს თავს: „კი მაგრამ, რატომ ვერაფერი ვიგრძენი, რატომ არ მქონდა იმის შეგრძნება, რომ მივფრინავდი? რა დაემართა ჩემს სხეულს? მართლა მოლეკულებად დავიშალე თუ რაღაც უცნაური განზომილება გამოვიარე? რა შემემთხვა, რა დამემართა?“ არ ვიცოდი. ან ბინოკლმა როგორ გამოიარა ეს ყოველივე ჩემთან ერთად?

რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო ცხადად ვხედავ, რამდენად პატარები ვართ ყველანი, რამდენი რამ არ ვიცით ჯერ კიდევ, რამდენი რამ უნდა შევიცნოთ. რადიომიმღები დენის მეტისმეტად ძლიერ წყაროს რომ მივუერთოთ, გადაიწვება. ჩვენც ზუსტად ასე ვართ, ზუსტად ასე მოუვა ჩვენს ტვინს თუ ჩვენ უეცრად ერთბაშად მეტისმეტად ბევრ რამეს გავიგებთ, შეიძლება გავგიჟდეთ. იქნებ ამიტომ არც მინდა რამე ვიცოდე. დე, ყველაფერი ისევ ისე იყო.

ჯერჯერობით მე მარტო ის ვიცი, რომ ეს ამბები, ეს შემთხვევები უმაღლესი გონებების არსებობას შემახსენებს, თითქოს მათ შორის კავშირს ახორციელებს; ჩემი თეორია იმაში მდგომარეობს, რომ ჩემში გამავალი ენერგიები რაღაც უმაღლესი კოსმოსური გონებიდან მომდინარეობს. მე აქ ღმერთზე არ ვლაპარაკობ, არამედ რაღაც მძლავრ ძალებზე, ღმერთის ხელთ რომ არსებობს...



მძევა

ნეტავ სად გაქრა ნათელი სხივი?
რატომ არ უჩანს ჰორიზონტს ბოლო,
ვინ მოიგონა ამდენი რამე,
ღრუბელს რა ვუთხრა? ღიმილი ვთხოვო?!

წვიმს და უბერავს საშინლად ქარი,
რით მოვიხადო მე ჩემი ვალი,
რომ ჩემი მოკლე ცხოვრების მერე
მნიშვნელოვანი დავტოვო კვალი...

გულს მიღრღნის სევდა ფარული, ჩუმი
და უთქმელობით დაღონდა გული,
ერთია მხოლოდ მესაიდუმლე,
ჩემი კალამი ვით მხატვრის ფუნჯი.

ტირის ბუნება წვიმის წვეთებით
და მეც ჩამომდის თითქოს ცრემლები,
არსად არ მოჩანს ნათელი ფერი,
და მწუხარების მიდიან დღენი.

დრო დადგა ცუდი, დრო დადგა მწარე,
ჩემი გულისთქმა დიდხანს ვერ ვძალე,
და მოუყევი ჩემს ლექსს გოდება,
გულზე რომ მადევს ლოდებად.

თამთა სარატიშვილი,
თბილისის მ-40 საზოგადო სკოლა, XI
კლასი.



ოფოშხერი

ზამთარი აზასთუჟანუი

მოვიდა თოვლი ახალი,
გადაათეთრა მთა-ბარი,
თეთრია მწვანე კედარი,
ფიჭვნარიცა და ნაძვნარიც.

გამოცვივდნენ სახლებიდან
ჩვენი დაბის ბავშვები,
არემარე მთლად აიკლეს
გუნდაობით, თამაშით.

ზოგი დაჰქრის ცივებით,
ზოგიც – თხილამურებით,
ზოგი კიდევ აკეთებს
თოვლის ბაბუს გუნდებით.

როგორ მალე დაღამდა
სახლში უნდა შევიდნენ,
თუმცა ხომ გათენდება და
თოვლიც ისევ იქნება!

ტატო ილიოძე
დაბა აზასთუჟანის საზოგადო სკოლის VIII კლასი.

იას

იავ, ტურფავ და ლამაზო,
შენმა სურნელმა დამათრო,
ხალხში რომ დგახარ ასე მონდენით,
რად არ იცინი, რად ტირი იავ?
ასე მშვენიერს, ასე ტურფას, რა გტკივა, მითხარ.
ჩემო მშვენიება, გამიმზილე ეგ საიდუმლო,
მე, შენს მეგობარს, შენს მოტრფიალეს
მითხარი იავ ეგ საიდუმლო.

გვანცა ილიოძე,
დაბა აზასთუჟანის საზოგადო სკოლა, VIII კლასი.



ლევან ბოლთაშვილი,
თბილისის 191-ე საზოგადო სკოლა, VI კლასი.

სიცილის გაუთილი

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წარჩინებული მოსწავლეები თხზულებებს, კასუსობენ ღვაწლს. ასევე ყველა ქვეყანაში უზვევან ისინი სასაცილო შეცდომებს, ზოგჯერ სისულელეებსაც კი.

სწორედ ასეთი სისულელეებით დაინტერესდა ურანბი იუმორისტი მწერალი ჟან შარლი, რომელმაც შეკრიბა და ცალკე წიგნად გამოცა ისინი. ბოთავზობთ რაჲდენიჲმ ნაწყვეტს აჲ წიგნიღან, რომელსაც „უწიგნურთა ბაზრობა“ ჰქვია.

დედამიწის მიზიდულობა ნიუტონმა აღმოაჩინა. იგი ყველაზე მეტად შემოდგომაზეა შესამჩნევი, როცა ხეებს ფოთლები სცვივა.

არქიმედე აბაზანაში რომ იჯდა და ბანაობდა, თავისი საპონი იპოვა და შესძახა: „ეერიკა!“

პასტერმა აღმოაჩინა ყვავილი, ცოფი და სხვა დაავადებები. იგი მთელი კაცობრიობის კეთილისმყოფელია. მან კიდევ მიკრობები აღმოაჩინა და ბულიონსა და პასტერიზებულ რძეში გამოჰყავდა ისინი.

ძროხა ბევრს ჭამს, მაგრამ საკვებს ორჯერ ღეჭავს და ამიტომაც ჰყოფნის.

კატას ოთხი ფეხი აქვს: ორი წინა სარბენად და ორიც უკანა – დასამუხრუჭებლად.



ზღარბი, გომბეშო და მერცხალი მწერების ჭამაში ეხმარებიან მეზღარბებს.

გალილეიმ აიძულა დედამიწა ებრუნა, მაგრამ ეპისკოპოსებმა მისი წამება დაიწყეს,

რათა მას ისევ გაეჩერებინა დედამიწა.

მაიმუნი არის ცხოველი, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს ადამიანს. მას მანჭვაც კი შეუძლია.

დღისით დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს, ღამით კი მთვარის გარშემო.


უდაბნო ისეთი ადგილია, სადაც არაფერი არ არის, გარდა ნავთობისა.

არქიმედეს კანონი: წყალში ჩაშვებული ნებისმიერი სხეული, რომელიც ერთი საათის განმავლობაში არ ამოყვინთავს, დამხრჩვალად უნდა ჩაითვალოს.

იქილო-მიქილო

ეროვნული
კულტურის

კროსვორდი




თარჯულად: 1. მაგლობელი ფრინველი; 2. სპორტული თამაში; 5. გარეული ფრინველი; 8. საარტილერიო ქვეგანაყოფი, რომელსაც აქვს რამდენიმე ქვემეხი; 11. სასვენი ნიშანი; 12. მარადმწვანე ხე; 14. მოძღვრალთა გუნდი; 15. ტროპიკულ ამერიკაში გავრცელებული მახრჩობელა გველი; 16. თმის საღებავი; 17. იაპონური ფულის ერთეული; 18. აზიის ქვეყანა; 20. მტაცებელი ფრინველი; 21. ძვირფასი ქვა; 22. საქართველოს მდინარე; 26. თვალის ფერადი გარსი; 28. კავკასიონის მწვერვალი.

შპუულად: 2. გეომეტრიული სხეული; 3. ინდური ფულის ერთეული; 4. ლატვიის ქალაქი; 6. ძვირფასი ლითონი; 7. ე. ნინოშვილის „პალიასტომის ტბი ს“ პერსონაჟი; 8. დეკორატიული მცენარე; 9. სუბტროპიკული მცენარე; 10. ბალახოვანი ტროპიკული მცენარე; 11. მზის სისტემის პლანეტა; 13. გარეული ცხოველი; 19. წვრილფოთლოვანი მარადმწვანე მცენარე; 23. განათებულობის საზომი ერთეული; 4. ბოსტნეული მცენარე; 25. საბრძოლო იარაღი ძველად; 27. სპორტული პრიზი; 29. ფირნიში.

ბარონ მიუნჰაუზენის ოინები

1759 წლის გაზაფხულზე კარტიტით ჩემი მეგობარი გრაფის მოსანახულებლად გავემგზავრე. გზად ბევრი საინტერესო რამ ვნახე. ერთ ფუნდუკთან წასახემსებლად რომ შევისვენეთ, გადავწყვიტე ყოველივე ნანახი ფურცელზე დამეხატა. დააკვირდით ჩემს ნახატს და შეეცადეთ აღმოაჩინოთ შეუსაბამობები. პირადად მე ცხრა შეუსაბამობა დავითვალე.





თბილისი 486-ე საჯარო სკოლა, I კლასი.
საქართველო პუბლიკი ღვიძლია



თბილისი 486-ე საჯარო სკოლა, I კლასი.
საქართველო პუბლიკი ღვიძლია



თბილისი 464-ე საჯარო სკოლა, VI კლასი.
საქართველო წიგნი პუბლიკი



თბილისი 486-ე საჯარო სკოლა, I კლასი.
საქართველო წიგნი პუბლიკი

საქართველოს სახელმწიფო ფილანთონია

აცხადებს 6-დან 14 წლამდე ასაკის ნიჭიერი ბიჭუნების და გოგონების მიღებას საბავშვო-საყვარულო საესტრადო ანსამბლ-სტუდია „ნიკეში“ ჩასარიცხად.

„ნიკე“ ნორჩ ტალანტებს მეფურობას გაუწევს შოუ-ბიზნესის სამყაროში.

„ნიკე“ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და მსოფლიოს წამყვანი საპროდიუსერო კომპანიების ეგიდით გამართულ კონკურტებში, ფესტივალებში და სატელევიზიო პროექტებში.


ანსამბლი-სტუდია „ნიკეს“ აღსაზრდელები მიიღებენ სტუდიის კურსდამთავრებულის სერთიფიკატს, რომელიც გაუხსნის მათ ვზას შოუ-ბიზნესის ელიტაში.

სტუდიას ხელმძღვანელობს კომპოზიტორი ზურაბ ჩინხალაძე.

ჩვენი მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი №136, 11 სართული, ოთახი №34.

საკონტაქტო ტელ: 95-18-50.

ვანცხადების მიღება სამუშაო დღეებში.



„ნიკე-ფილი“ 20 წლის იუბილეს ულოცავს თავის უძველეს მკვლავს. უკონხა „ანი“-ს!

ბ 86 / 6



21-ე საუკუნის საქართველო

ლაშა მესხი

საქართველოს დღევანდელი დღე ნაჩინდგენილია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ცხელი წეხილებით. ქართული ელიზის ირგვლივ დაჩაზმული, საქართველო საბოლოოდ უჭიით და ფაჩიით გაბიხეინდება. ნიგნიჩი საქართველოს სვადინდელი დღე დაფნის გვირგვინი და მზით გაბიხეინდება.